გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№6 (901) 31 იანვარი – 2 თებერვალი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## მანდატურებს სამსახურიდან აღარ დაითხოვენ



გვ. 10

# ნათესავებზე გაფორმებული კომპანიებიდან მიღებული მილიონები



გიგა ბოკერიას 45 000 000, გიგი უგულავას 13 000 000, გივი თარგამაძის 85 000 000 დარიანი მოგება და ბოკერიას „სასაცილო ამბები“

გვ. 3

## ვანო მერაბიშვილმა სასამართლო პროცესზე იტირა

გვ. 5



ვის გვამებს ითხოვდა და ვის უხდის ბოდიშს ბრალდებული მინისტრი

## თოჯინების თეატრიდან მსახიობები უკანონოდ გაათავისუფლეს

რა ბრალდებებს უყენებს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ნიკოლოზ მჟავანაძე

გვ. 9

## „საქართველო ძველი მანქანების სასაფლაოდ გადაიქცა, რასაც სასწრაფოდ უნდა ვუშველოთ“




რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ავტომობილი ტექდათვალიერების გასავლელად

გვ. 6

## „წყალი ნაბეღლავი“ ორი ოლიმპიური ფესტივალის პლატინის სპონსორი გახდა




ავთანდილ სვიმონიშვილი: „მუდმივად ვაგრძნობინებთ ორგანიზატორებს, რომ ჩვენი კომპანიის სახით, საიმედო პარტნიორი აირჩიეს“

გვ. 7

# ნაციონალები პარტიის რებრენდინგს იწყებენ

## რას გულისხმობს შიდადემოკრატიზაციის პროცესი და ახალი ოპოზიციური მმართველობა

რუსუდან შელია
557-100-768

**ირაკლი კაკაბაძე, საინიციატივო ჯგუფთან ერთად, ნაციონალური მოძრაობის წევრების სახლებისა და ოფისების წითლად შეღებვით იმუქრება. ვრცელდება ინფორმაცია, რომ აქციის მონაწილეები 31 იანვარს, 17:00 საათზე, სასტუმრო „ვარაზთან“ შეიკრიბებიან და ნაციონალების სახლების წითლად შეღებვას დაიწყებენ.**



**„ჩვენ თავს ვესხმით ნაცებს, ყველა ფაშისტს და ვაწითლებთ ყველაფერს, რაც გასაწითლებელია“,** — აცხადებს კაკაბაძე.

ნაციონალებს კი „წითელი აქცია“ არ ადარდებთ და პარტიული განახლების მეორე ეტაპს იწყებენ. „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ შეხვედრაზე, საპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა პარტიის წევრებს, მხარდამჭერებსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს არსებული გამოწვევები და სამომავლო გეგმები გააცნო. მისი განცხადებით, პარტია ნაკლებად გამჭვირვალე იყო და გადაწყვეტილებას გუნდის ვიწრო წრე იღებდა, ასევე საზოგადოებაში პარტიის მიმართ გარკვეული აგრესიაც არსებობს, თუმცა ნაციონალური შიდადემოკრატიზაციის ამუშავებით, ხარვეზების გამოსწორებას იწყებს. როგორც **გიორგი ვაშაძემ** შეკრებილ საზოგადოებას განუმარტა, ნებისმიერი გადაწყვეტილების პროცესში ნაციონალური მოძრაობის თითოეული წევრი იქნება ჩართული. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა მარტიდან პარტიაში პრაიმერის პროცესის დაწყებაც დააანონსა. მისი განცხადებით, მერებისა და გამგებლების კანდიდატურის გამოვლენა ყველა რაიონში სწორედ პრაიმერის გზით მოხდება: **„ნაციონალური მოძრაობა შიდადემოკრატიზაციის პროცესს იწყებს. ამ მიმართულებით ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი შიდაპრაიმერის ჩატარება მიგვაჩნია, როცა კანდიდატურებს პარტიის გენერალური მდივანი კი არ დანიშნავს, გამოკითხვა გამოავლენს. გამარჯვებული კანდიდატი კი რაიონის არჩეულ თავმჯდომარესთან ერთად, საარჩევნო სიებს დააკომპლექტებს, რომელსაც შემდეგ დასამტკიცებლად პოლიტიკურ საბჭოს წარუდგენს. რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელებიც პირდაპირი და ფარული კენჭისყრით შესაბამის რაიონში მცხოვრები წევრების მიერ ორი წლის ვადით აირჩევა. პარალელურად, რაიონული საბჭოც იქმნება. ამასთან, გენერალური მდივნის ნაცვლად, რაიონში აღმასრულებელ და საორგანიზაციო მდივანს თავმჯდომარის წარდგინებით რაიონული საბჭო დაამტკიცებს“.**

შეხვედრაზე გიორგი ვაშაძემ აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში პარტიაში ახალი სახეებიც გამოჩნდება: **„ჩვენ შევქმნით პარტიას, რომელიც იქნება პლატფორმა იმ ადამიანებისთვის, ვინც ჩვენს ღირებულებებს იზიარებს“.**

გიორგი ვაშაძის შემდეგ საზოგადოებას გიგი უგულავამაც მიმართა და აღნიშნა, რომ ნაციონალური მოძრაობა ერთადერთი სახელისუფლო პარტიაა საქართველოში, რომელმაც პოლიტიკური არსებობა არ შეწყვიტა: „იმ **ფაქტმა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ძალაუფლება მშვიდობიანად გადააბარა, საქართველოში სერიოზული დემოკრატიული პრეცედენტი შეიქმნა. ეს ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას უკავშირდება. მართალია, ხელისუფლებაში ყოფნას ბევრი ხიბლი აქვს, მაგრამ მეორე მხრივ, ბუნებრივი მინუსებიც გააჩნია. 10-წლიანი მმართველობა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩვენს ირგვლივ და პარტიის შიგნითაც უამრავი პრობლემა დაგროვილიყო. ის ადამიანები, რომლებსაც ჩვენთან იდეოლოგიური მისწრაფებები არ აკავშირებდა და მხოლოდ ხელისფულებაში ყოფნის სურვილის გამო გვიჭერდა მხარს, პარტიას ჩამოშორდნენ, რაც აბსოლუტურად ჯანსაღ პროცესად მიმაჩნია. ბევრი ჩვენგან სიამოვნებით წავიდა და ხელისუფლებას დაუმეგობრდა, ბევრმა ეს იძულებით გააკეთა. მათი ქმედების შეფასებას არ დავიწყებ, პირიქით, თითოეული მათგანისთვის გზა დამილოცნია. პარტიიდან წევრების გადინების პროცესი აღმოჩნდა პირველი რთული ეტაპი, რომელიც ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გავიარეთ. ამჯერად, პარტიის განახლების ეტაპზე ვართ. პრაიმერი მმართველობის ის სტანდარტია, რომელიც ჩვენ რეგიონში სიახლეა, თუმცა ჩვენი მიზანიც სწორედ ესაა — ახალი ოპოზიციური მმართველობის შექმნა, რასაც აუცილებლად წარმატებით განვახორციელებთ“.**

ვერსიანიუსი

## ენგურის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართულ-აფხაზური მშვიდობის სახლი გაიხსნება



ახალ, თავისუფალ, აპოლიტიკურ სივრცეს, ენგურის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე „ქართულ აფხაზური მშვიდობის სახლი“ დაერქმევა, — ამის შესახებ ინფორმაციას კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) აღმასრულებელი დირექტორი მაია კაციტაძე ავრცელებს.

პროექტს ორგანიზაცია უკვე რამდენიმე თვეა ხვეწს: **„ესაა თვისებრივად ახალი, თავისუფალი სივრცის შექმნა ენგურის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიას ვულისხმობ, რომელსაც გვინდა, ვუწოდოთ ქართულ-აფხაზური მშვიდობის სახლი, თუმცა ეს სივრცე იქნება ყველა ეროვნების ადამიანისთვის“.**

ავტორთა აზრით, პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ამგვარი „სახლი“ მომავალში, ცხინვალის რეგიონთან მდებარე „საზღვარზეც“ გაიხსნება.

**„ომამდე აფხაზეთში ოჯახების 41% შერეული იყო. ომის შემდეგ მრავალი ოჯახი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდა, ხოლო ის ქალბატონები, რომლებსაც მეუღლეები და შვილები აფხაზები ჰყავდათ, დღესაც იქ ცხოვრობენ“,** — აცხადებს ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების თავმჯდომარე და აღნიშნული პროექტის ავტორი რეზო ბენდელიანი.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე ეს შერეული ოჯახები წარმოადგენენ იმ სამშვიდობო ძალას, რომელსაც ძალიან დიდი გარდატეხის შეტანა შეუძლია ურთიერთობების აღდგენაში. ორგანიზაციის მიერ ორივე მხარეს აღდგენილი კავშირების შედეგად, შერეული ოჯახების ქართველი და აფხაზი წარმომადგენლები რეგულარულად ხვდებიან.

პროექტის მიხედვით, მშვიდობის ქართულ-აფხაზური სახლი მოქალაქეთა საჭიროებებზე იქნება მორგებული და იმ ადამიანებს, რომლებიც გამშვები პუნქტით სარგებლობენ, შესაბამის სერვისებს შესთავაზებს: **„როგორი მოთხოვნაც იქნება, ფუნქციონირებაც იმ მიმართულებებით წარიმართება. ეს იქნება პოზიტივზე ორიენტირებული სივრცე, ვაპირებთ, გავაკეთოთ გზამკვლევები. მივაწოდოთ ინფორმაცია, რა ხდება, რა გადასახადებია, როგორია ქვეყნის კანონები. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, დაემატება ძალიან ბევრი საინტერესო საყოფაცხოვრებო საკითხი“,** — აცხადებს მაია კაციტაძე.

მომდევნო კვირას პროექტზე მსჯელობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაგრძელდება. პროექტის ავტორთა აზრით, ყველა ეტაპის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ქართულ აფხაზური მშვიდობის სახლი მიმდინარე წლის ზაფხულის დასაწყისისთვის უნდა გაიხსნას.

*„ინტერპრესნიუსი“*

## კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულებაში ცვლილებები შედის

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ კომისიის 2007 წლის 16 მარტის 3 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრების ინფორმაციით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძვლად დაედო მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში 2013 წლის 9 ოქტომბერს ძალაში შესული ცვლილებები, რომელთა თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს თავად კომისია, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს, ამიტომ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ კომისიის 2007 წლის 16 მარტის 3 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები და დამატებები, რათა კომისიის თავმჯდომარის არჩევის პროცედურები განისაზღვროს.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის ძველი რედაქციით, კომისიის ხუთი წევრიდან ერთ-ერთს კომისიის თავმჯდომარედ საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავდა.

საკითხის ზეპირი მოსმენა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში 2014 წლის 27 თებერვალს გაიმართება.

*„ინტერპრესნიუსი“*



## ლეიბორისტული პარტია ვარკეთილში, ჩინური დასახლების მშენებლობას აპროტესტებს

პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ 2015 წლისთვის, აღნიშნულ ტერიტორიაზე, 42 ათას ჰექტარზე, 130 ათასი ჩინური ოჯახის დასახლება იგეგმება და ეს ქვეყანას დემოგრაფიულ პრობლემას შეუქმნის: „ვაპროტესტებთ ჩინური ქალაქის მშენებლობას, სადაც მალე ჩამოსახლდება ასეულ ათასობით ემიგრანტი. მოვითხოვთ, ივანიშვილის სამშენებლო კომპანიებმა შეწყვიტოს ბაბილონის გოდოლის მშენებლობა ჩინელებისთვის. მოვითხოვთ, ამ დასახლებაში, შეიქმნას სახელმწიფო-საბინაო ფონდი და დავაბინაოთ აქ ყველა უსახლკარო და უბინაო“.

*„ნიუპოსტი“*



## დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭო გაფართოვდება

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სამეთვალყურეო საბჭო გაფართოვდება, — ამის შესახებ დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში დღეს გამართულ სამეთვალყურეო საბჭოს პირველ სხდომაზე იმსჯელეს. დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, ლაშა ნიკოლაძის განმარტებით, განიხილეს ტექნიკური საკითხებიც. წინა სხდომაზე გახმოვანდა წინადადება, რომ ამ საბჭოს ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრები შეუერთდნენ. ლაშა ნიკოლაძე ამ იდეას მიესალმება. მან აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის დაზღვევა და სოფლის მეურნეობის რისკების დაზღვევა მომავალი წლიდან წამყვანი იქნება და შესაბამისად, ამ ორი უწყების მხარდაჭერა და რეკომენდაციები ძალიან ძვირფასია მათთვის.

ლაშა ნიკოლაძემ ასევე აღნიშნა, რომ შეხვედრაზე იმსჯელეს საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაზე, ასევე ადმინისტრაციულ ნაწილში, ნორმატიული ბაზის გადახდისუნარობის ამაღლების კუთხით სადაზღვევო კომპანიებისთვის.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ნაციონალების ფარული ბიზნესინტერესები



## ნათესავებზე გაფორმებული კომპანიებიდან გიგა ბოკერიამ 45 000 000, გიგი უგულავამ 13 000 000, გივი თარგამაძემ 85 000 000 ლარიანი მოგება მიიღო

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს ხელისუფლების იმ მაღალი თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციებით დაინტერესდნენ, რომლებიც ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოვიდნენ. ორგანიზაციაში მონიტორინგის ჯგუფი შეიქმნა, რომელმაც 2003-2012 წლებში მოქმედი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული კომპანიები გამოავლინა. საზოგადოებაში ბევრს საუბრობენ, რომ ფულის კეთების ყველაზე კარგი და იოლი გზა სხვადასხვა პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნაა. თანამდებობის ამ მიზნით გამოყენება საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული კია, მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში, როგორც ჩანს, აპრობირებული მეთოდია. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, თავდაპირველად, გიგა ბოკერიას, გიგი უგულავასა და გივი თარგამაძის დეკლარაციები შეისწავლეს და მათი ბიზნესინტერესებიც გამოავლინეს, რასაც „ვერსია“ სრულად გთავაზობთ. ორგანიზაციის თავმჯდომარის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, პროექტი გრძელდება, რაც ნიშნავს, რომ „ახალგაზრდა ადვოკატები“ სხვა მაღალჩინოსანი ნაციონალების ბიზნესკავშირებსაც შეისწავლიან. მომავალში, ორგანიზაცია ახალი ხელისუფლების წევრების ქონებრივი დეკლარაციებითაც დაინტერესდება და მათ შესაძლო ან სავარაუდო ბიზნესინტერესებსაც შეისწავლის.**

### რას მოითხოვს კანონი თანამდებობის პირებისგან?

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ თავმჯდომარემ, არჩილ კაიკაციშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, საჯარო სამსახურში დასაქმებულ მაღალი თანამდებობის პირებს სამეწარმეო საქმიანობა ეკრძალებათ. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში“ თანამდებობის პირის ქონებრივი და ან სხვა პირადი ინტერესების დაპირისპირებაა სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან“. ამ მხრივ, თანამდებობის პირის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი, ჩვეულებრივი მოქალაქის სტატუსისაგან განსხვავდება: **„კანონი თანამდებობის პირს საგანგებოდ ავალდებულებს, არ გამოიყენოს სამსახურეობრივი მდგომარეობა პირადი ინტერესების სასარგებლოდ და ამით ზიანი არ მიაყენოს საჯარო ინტერესებს. გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულია „სახელმწიფო თანამდებობის პირთა ქცევის საერთაშორისო კოდექსი“, რომლის მეოთხე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო თანამდებობის პირმა, თანამდებობრივი მდგომარეობა არ უნდა გამოიყენოს შეუფერებელი პირადი ან ოჯახური ან/და ფინანსური სარგებლის მისაღებად. თუმცა ერთია კანონმდებლობისა და საერთაშორისო სავალდებულო წესების მოთხოვნები, მეორე კი ის სინამდვილე, რომელიც საქართველოს მაგალითზე არსებობს. საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ განსაზღვრავს, რომ პარლამენტის წევრს უფლება არ აქვს, ეკავოს რამე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი. ამ მოთხოვნათა დარღვევისას, პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება, ამის შემდეგ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, პარლამენტის წევრის სტატუსთან სამეწარმეო საქმიანობის ან საჯარო სამსახურში რაიმე თანამდებობის შეთავსება დაუშვებელია. პარლამენტის წევრს უფლება არ აქვს: ა) უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად; ბ) უშუალოდ განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი; გ) იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, ეკავოს თანამდებობა სხვა სახელმწიფო ორგანოში ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში. 2003-2012 წლებში, ქვეყნის მმართველობისა და პოლიტიკოსების ბიზნესში თანამონაწილეობის სტილი ნამდვილად მოითხოვს შესწავლას, შეფასებასა და ანალიზს, რათა საჯარო წესრიგიც დავიცვათ და საზოგადოების მოთხოვნებიც დაკმაყოფილდეს“.**

არჩილ კაიკაციშვილის თქმით, ამ მიმართულებით, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მონიტორინგის განხორციელება გადაწყვიტა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესწავლა და კანონთან შესაბამისობის დადგენა. შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელების პროცესში, საზოგადოება ეტაპობრივად გაეცნობა შედეგებს, რომელსაც ორგანიზაციის სამართლის ჯგუფი მოამზადებს. აღსანიშნავია, რომ ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ ისტორიას მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა ახსოვს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა, 2006 წლის 31 მარტის დადგენილებით, მიიღო გადაწყვეტილება და იმჟამინდელ პარლამენტარს, ვალერი გელაშვილს უფლებამოსილება შეუწყვიტა: **„სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე მოგვცა ნიშანდობლივი განმარტებები, რომლითაც აღინიშნა, რომ პარლამენტის წევრის მიერ, სამეწარმეო საქმიანობის ფაქტობრივი განხორციელება, რაც, ძირითადად, ფარულ ხასიათს ატარებს, თავის შინაარსით, უფრო მეტი საფრთხის მატარებელია, ვიდრე ღია და დეკლარირებული კანონდარღვევა, კომპანიაში რომელიმე თანამდებობის დაკავების სახით. აღნიშნულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებებით კი საზოგადოებაში მნიშვნელოვან დისკუსიას მიეცა დასაბამი. საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკით, ერთი მხრივ, დაცულია კანონის მოთხოვნები და მაღალი თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარირება განსაკუთრებული ვარაუდის საფუძვლებს არ ტოვებს, მეორე მხრივ, იმავე საჯარო მოხელეებს, საკუთარი ბიზნესინტერესები გადანაწილებული აქვთ ოჯახის ან/და ახლობლების სახელზე. მოქმედი საჯარო მოხელეების თანამდებობრივი მდგომარეობა გამოიყენება კანონის ირიბი დარღვევით, პირადი და ოჯახური ფინანსური სარგებლის მისაღებად“.**

### გიგა ბოკერიას ბიზნესინტერესები

საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, გიგა ბოკერიას ოფიციალური დეკლარაციის მიხედვით, მის სახელზეა გაფორმებული უძრავი ქონება, მათ შორის, ბინა პეკინის გამზირზე, ხოლო მეუღლის, თამარ ჩერგოლეიშვილის სახელზე გაფორმებულია მსუბუქი ავტომანქანა BMW 120. გიგა ბოკერიას არ გააჩნია ფასიანი ქაღალდები, ხოლო საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან, ხელფასის სახით მიღებული აქვს 85 790 ლარი, მეუღლეს, თამარ ჩერგოლეიშვილს კი ჟურნალ „ტაბულას“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან — 132 000 ლარი. დეკლარაციის მიხედვით, თამარ ჩერგოლეიშვილი აღნიშნული ჟურნალის აქციონერია.

დეკლარაციის მიხედვით, სესხის სახით, გიგა ბოკერიას აღებული აქვს 27 000 ლარი, მეუღლეს, თამარ ჩერგოლეიშვილს — 52 500 ლარი. მასვე ეკუთვნის კიდევ ორი სასესხო ვალდებულება, ერთგან — 23 500 ლარის, ხოლო მეორეგან – 25 000 ლარის ოდენობით. თამარ ჩერგოლეიშვილის სახელზე, საფრანგეთის ერთ-ერთ ბანკში, საბანკო ანგარიშზეა 119 000 ევრო, ხოლო საქართველოს ბანკებში შემდეგი ფულადი დანაზოგი: 1 403 აშშ დოლარი — თიბისი ბანკში და 6 681 ლარი — ლიბერთი ბანკში. თავად გიგა ბოკერიას ანგარიშზე, თიბისი ბანკში 7 799 ლარი ირიცხება.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ყურადღება მიაპყრეს გიგა ბოკერიას ოჯახის წარმომადგენელთა ბიზნესსაქმიანობას და გაარკვიეს, რომ გიგა ბოკერიასთან დაკავშირებულ ფირმებს, არსებული მასალების მიხედვით, 45 00 000 ლარამდე შემოსავალი აქვთ მიღებული. კერძოდ, საჯარო ინფორმაციის თანახმად, გიგა ბოკერიას ფარული ბიზნეს-ინტერესები უნდა დავინახოთ მამის, მეუღლის, მეუღლის დისა და სიძის ბიზნესსაქმიანობაში.

**გიგა ბოკერიას მამა, ლევან ბოკერია, სამშენებლო ფირმა შპს „ლებოს“ 100%-იანი წილის მფლობელია, კომპანიის ერთობლივი შემოსავალი 2 363 606 ლარია. ლევან ბოკერია 20%-იან წილს ფლობს სამშენებლო ფირმა შპს „არქ სტუდიაში“, რომლის ერთობლივი შემოსავალი 26 523 662 ლარია.**
**მონიტორინგმა ცხადყო, რომ გიგა ბოკერიას ცოლის და, რუსუდან ჩერგოლეიშვილი სარემონტო ფირმა შპს „ოლივდიზაინის“ დამფუძნებელია, რომელიც კომპანიაში 50%-იან წილს ფლობს. კომპანიის ერთობლივი შემოსავალი 14 621 734 ლარია. რუსუდან ჩერგოლეიშვილი 50%-იან წილს ფლობს შპს „ახალი გალერეაში“, რომლის ერთობლივი შემოსავალი 161 474 ლარია.**
**რუსუდან ჩერგოლეიშვილის მეუღლე, კახაბერ ნინუა შპს „გალფ რეისინგის“ დამფუძნებელია, რომლის ერთობლივი შემოსავალია 324 487 ლარი, სადაც 100%-იან წილს ფლობს. ააიპ „სამხედრო ოპერაციებში გარდაცვლილი მოსამსახურეთა და დაზარალებული ოჯახების დახმარების ფონდი „თანადგომის“ დამფუძნებელიც კახაბერ ნინუაა, რომლის ერთობლივი შემოსავალი 1 552 873 ლარი იყო. ამ კომპანიის ლიკვიდაცია 2012 წლის აპრილში განხორციელდა. 2011 წლის 8 დეკემბერს, კახაბერ ნინუამ 3 025 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი შეიძინა წყნეთში. 2011 წლის სექტემბერში კი 1 000 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი წყნეთის სატყეო ტერიტორიაზე. ორივე ნაკვეთის სავარაუდო ღირებულება 400 000 ლარია.**

### გიგი უგულავას ბიზნესინტერესები

უფლებაშეჩერებულ თბილისის მერს, გიგი უგულავას ლიბერთი ბანკის სახელფასო ანგარიშზე 19 350 ლარი ირიცხება, საქართველოს ბანკში’— 1 300 ლარი. მეუღლის, ლელა კილაძის ანგარიშზე, ამავე ბანკში, 2 000 ლარია. დეკლარაციის მიხედვით, ნაღდი ფულის სახით, ლელა კილაძე 4 000 ლარს, გიორგი უგულავა — 5 000 ლარს ფლობს. გიგი უგულავას, თბილისის მერიიდან მიღებული აქვს 95 400 ლარი, ხოლო ლელა კილაძეს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, კულტურულ ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და ადმინისტრაციის უფროსის მრჩევლის თანამდებობაზე მუშაობდა, მიღებული აქვს 49 450 ლარი. დეკლარაციით მტკიცდება, რომ გიგი უგულავას 20 000 ლარის სასესხო ვალდებულება აქვს საქართველოს ბანკში და 50 000 ლარის ოვერდრაფტი. უგულავას გასავალია შვილების სწავლის საფასური — 5 555 ლარისა და 1 914 ლარის ოდენობით.

მონიტორინგის შედეგად, არასამთავრობო ორგანიზაციამ სხვა კავშირებიც გამოავლინა. კერძოდ,

**გიგი უგულავასთან დაკავშირებული კომპანიებისა და ფირმების საერთო შემოსავალი 13 000 000 ლარს აჭარბებს, ხოლო ოჯახის ბიზნესინტერესები იკვეთება კომპანიებში: „მანი“, „ჯეოლენდი“, „თ.ფ“, „ლთ ჯგუფი“. ამ კომპანიების უმეტესობას მოგებული აქვს სახელმწიფო ტენდერები. მათი დამფუძნებლები და მეწილეები ფლობენ ძვირადღირებულ უძრავ ქონებას თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.**

გიგი უგულავას სიდედრი, ნინა კილაძე 50%-იან წილს ფლობს შპს „მანი“-ში. კომპანიის საქმიანობის სფეროა გაჯის წარმოება, ერთობლივი შემოსავალი კი 3 000 000 ლარზე მეტია. ფირმის სახელზეა 10 569 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული 1 943 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობით გარდაბანში, სოფ კრწანისში.

*დასასრული მე-4 გვერდზე*



## პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უმცირესობების საკითხებში სოფიო შამანიდი იქნება

იგი საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ეროვნული უმცირესობების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს წარუდგინა.

სოფიო შამანიდი თანამედროვე ბერძნული ფილოსოფიის სრული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, ალექსანდრ ონასისის ფონდის ორგზის სტიპენდიანტი, საქართველოს პრეზიდენტის ორგზის სტიპენდიანტი, ასევე, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და რედაქტორია.

*„პია.გე“*



## საშაურმე, სადაც ოცი ადამიანი მოიწამლა, დახურეს

უკვე ცნობილია იმ შაურმის ლაბორატორიული კვლევის შედეგები, რომელმაც 24-25 იანვარს ბათუმში ოცამდე ადამიანის მოწამვლა გამოიწვია.

სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა ბათუმში, ჭავჭავაძის 7-ში მდებარე საშაურმედან ნიმუშები ინფორმაციის მიღებისთანავე აიღეს და შესამოწმებლად აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ლაბორატორიულ კვლევით ცენტრს“ გადაუგზავნეს, ბიზნესოპერატორს კი საწარმოო პროცესი შეუჩერეს. კვლევით დადგინდა, რომ შაურმაში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები, კერძოდ, მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ ანაერობული მიკროორგანიზმები აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. ნიმუშში აღმოჩნდა ასევე ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები).

აღნიშნული დარღვევების გამო ბიზნესოპერატორი კანონმდებლობის შესაბამისად, 1000 ლარით დაჯარიმდა.

*„ნიუსპრესი“*



## სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე მსჯავრდებულს ბრალი წარედგინა

სხვისი ნივთის დაზიანების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში, მსჯავრდებულ ი.ბ.-ს საქართველოს სსკ-ს 187-ე მუხლის პირველი ნაწილით წარუდგინეს ბრალი.

გამოძიების მიხედვით, 2013 წლის 13 სექტემბერს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულებაში განთავსებულმა ი.ბ.-მ, წყლით სავსე ბოთლის გამოყენებით, განზრახ გაანადგურა საკანში დამონტაჟებული, 500 ლარად ღირებული ვიდეოკამერა, რითაც დაწესებულებას მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენა. აღნიშნული მუხლით ჩადენილი დანაშაული, თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე ითვალისწინებს.

*„ნიუსპრესი“*

# ნაციონალების ფარული ბიზნესინტერესები



*მე-3 გვერდიდან*

ნინა კილაძის საკუთრებაშია 37 კვ.მ ფართობის ბინა წყნეთის გზატკეცილზე, №16-18 სახლების ადგილზე, რომელიც 2011 წლის 26 დეკემბერს, შვილმა, ლელა კილაძემ აჩუქა. ნინა კილაძის საკუთრებაშია 451 კვ.მ ფართობის მიწა ხაშურში, მაიაკოვსკის ქუჩა №3-ში, რომელიც ნინა კილაძეს, 2010 წლის 14 იანვარს, ლეილა ბარბაქაძემ აჩუქა.

გიგი უგულავას ქვისლმა, გიორგი ღონიაშვილმა, 2012 წლის 26 ივლისს, ნასყიდობის ხელშეკრულებით, 50 000 აშშ დოლარად შეიძინა 4 245 კვ.მ ფართობის მიწა სოფელ ტაბახმელაში. 2012 წლის 30 ივლისს, ნასყიდობის ხელშეკრულებით, 6 000 აშშ დოლარად, 571 კვ.მ ფართობის მიწა ისევ ტაბახმელაში შეიძინა. 2013 წლის 25 ოქტომბერს, ნასყიდობის ხელშეკრულებით, 82 000 აშშ დოლარად გუდაურში, 102 კვ.მ ფართობის ბინა შეიძინა.

გიგი უგულავას ძმა, ირაკლი უგულავა, შპს „ჯეოლენდის“ 50%-იანი წილის მფლობელია, ერთობლივი შემოსავალი 6 500 000 ლარი. საქმიანობის სფეროა აზომვითი ნახაზების წარმოება. „ჯეოლენდმა“ 38 სახელმწიფო ტენდერი მოიგო, ტენდერების საერთო ღირებულება კი 685 864 ლარი იყო. ერთ პირთან მოლაპარაკებით, სახელმწიფოს მასთან დადებული აქვს 114 ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 131 843 ლარი იყო.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 10 ოქტომბრის განკარგულებით, კომპანიას პირდაპირი მიყიდვის წესით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად — 1 ლარად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საბეწეში მდებარე 8000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი გადაეცა. 2006 წლის 8 მაისს, 113 კვ.მ ფართობი, ხოლო 2006 წლის 8 დეკემბერს, 87 კვ.მ და 46 კვ.მ ფართი, ერთსა და იმავე მისამართზე, თბილისში, ტელეგრაფის №3-ში შეიძინა. გარდა ამისა, „ჯეოლენდი“ 21%-იანი წილის მფლობელია დაბა ბაკურიანის კვების ობიექტში, რომლის შემოსავალი 500 000 ლარზე მეტია.

კომპანია „ჯეოლენდს“ 2012 წლის 19 ოქტომბერს, 213 000 ლარად, სახელმწიფოსგან შეძენილი აქვს 7 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული 393 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობით, ბორჯომის რაიონში, დაბა ბაკურიანში. ირაკლი უგულავამ, 2012 წლის 12 სექტემბერს, ნასყიდობის ხელშეკრულებით, 11 700 აშშ დოლარად 780 კვ.მ ფართობის მიწა სოფელ ტაბახმელაშიც შეიძინა.

გიგი უგულავას ბიძა (მამიდის ქმარი), თამაზ გოგიაშვილი 100%-იან წილს ფლობს აქვს შპს „თ.ფ“-ში, რომლის ერთობლივი შემოსავალია 3 000 000 ლარი. კომპანიის საქმიანობაა ფოიერვერკების იმპორტი და რეალიზაცია. გამარჯვებულია 13 სახელმწიფო ტენდერში, საერთო ღირებულებით — 1 120 529 ლარი. ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, უგულავას ბიძის კომპანიასთან სახელმწიფომ 28 ხელშეკრულება გააფორმა, ჯამური ღირებულებით — 192 136 ლარი. შპს „თ.ფ“ 100%-იან წილს ფლობს აქვს შპს „ლთ ჯგუფში“, რომლის ერთობლივი შემოსავალი 631 329 ლარია, საქმიანობა ფოიერვერკებისა და გასანათებელი საშუალებების იმპორტი და რეალიზაცია. კომპანია გამარჯვებულია 5 სახელმწიფო ტენდერში, საერთო ღირებულებით — 193 390 ლარი. ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, სახელმწიფოს დადებული აქვს 11 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით — 193 390 ლარი.

გიგი უგულავას მეუღლის მამიდამ, რუსუდან კილაძემ, 2012 წლის 19 ოქტომბერს, 465 კვ.მ ფართი, 243 700 აშშ დოლარად შეიძინა თბილისში. გიგი უგულავას მეუღლის ნათესავის, თამაზ გოგიაშვილის ფირმები კი აქტიურ მონაწილეობას იღებენ მერიისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, რომლებიც ფოიერვერკებით მომსახურეობასა და გასანათებელი საშუალებების შეძენას ეხებოდა.

### გივი თარგამაძის ბიზნესინტერესები

ოფიციალური დეკლარაციის თანახმად, გივი თარგამაძის საკუთრებაში არსებული ქონებაა, 160 კვ.მ ფართობის ბინა თბილისში, მოსაშვილის №12-ში, მეუღლის, ნინო მუშკუდიანის სახელზე BMW 5 GRAN TURISMO. პარლამენტის წევრს არ გააჩნია ფასიანი ქაღალდები და თანხა საბანკო ანგარიშზე, მხოლოდ მეუღლის, ნინო მუშკუდიანის სახელზე ირიცხება 5 000 აშშ დოლარი. დეკლარაციაში არ მოიპოვება მონაცემები გივი თარგამაძის სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მას მხოლოდ მიღებული აქვს ანაზღაურება საქართველოს პარლამენტიდან წევრობის, ასევე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან, ჯამში 61 539 ლარის ოდენობით.

ორგანიზაციამ განახორციელა მონიტორინგი და გამოავლინა ის კომპანიები, რომლებიც გივი თარგამაძის სახელს უკავშირდება. კვლევის შედეგად დგინდება, რომ

**გივი თარგამაძის ოჯახს 85 000 000 ლარამდე შემოსავალი აქვს მიღებული. შპს „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპი“ დაფუძნებულია 2003 წლის 20 ნოემბერს, თბილისში, სანაპიროს №14-ში. კომპანიის 15%-იან წილს გივი თარგამაძის ძმა, ზაზა თარგამაძე ფლობს, რომელიც მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია. ფირმის საქმიანობის სფერო მშენებლობა და სამშენებლო მასალების რეალიზაციაა. 2005-2012 წლებში, კომპანიის ერთობლივი შემოსავალი 60 000 000 ლარს აჭარბებდა. შპს „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპსა“ და შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საერთო ჯამში მიღებული შემოსავალი 12 840 051 ლარი იყო. კომპანია „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპს“, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საერთო ჯამში მიღებული აქვს 2 324 780 ლარი. „პაულ შულერ უნდ ირაო გრუპს“, 2010-2013 წლებში, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ეროვნული ბანკისთვის შესრულებული აქვს 22 000 000 ლარის სამუშაოები.**

კახეთის რეგიონული განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 2012 წელს, კახეთში, სტიქიის დროს დაზიანებული სახლების სახურავების სარემონტო სამუშაოებიც ამავე კომპანიამ შეასრულა, რისთვისაც 300 556 ლარი მიიღო.

მონიტორინგის წარმოების დროს, ორგანიზაციის ყურადღება მიიპყრო კომპანიებმა: შპს „მილკი ვეი“, შპს „ირაო არტი“ და შპს „კალანდა“, რომელთა ხელმძღვანელები და დამფუძნებლები გივი თარგამაძის ოჯახის წევრები და ახლო მეგობრები არიან. კერძოდ, შპს „მილკი ვეის“ დამფუძნებელია კონსტანტინე მიქელაძე, რომელიც გივი თარგამაძის მეგობარი და ამ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. „მილკი ვეი“ 2010 წლის 16 ივლისიდან ფუნქციონირებს, საქმიანობის სფერო ტკბილეულის, რძისა და შოკოლადის ნაწარმის უკრაინიდან საქართველოში იმპორტია. 2010-2013 წლებში, კომპანიის ჯამურმა ბრუნვამ 20 000 000 ლარს გადააჭარბა. რაც შეეხება შპს „ირაო არტსა“ და შპს „კალანდას“, მათი დამფუძნებელი პარლამენტარის ძმა, ზაზა თარგამაძეა, რომელიც კომპანიაში 30%–იანი წილის მფლობელია. „ირაო არტი“ 2007 წლიდან, წარმატებით საქმიანობს არქიტექტურის, პროექტირების, რეკონსტრუქციისა და დიზაინის ბაზარზე. 2007-2012 წლებში, საწარმოს ჯამური ბრუნვა 1 350 551 ლარი იყო. შპს „კალანდა“ 2009 წლიდან საქმიანობს, რომლის ჯამური ბრუნვა 1 196 571 ლარი იყო.

„ვერსია“ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს დაუკავშირდა ლომელთაგან მხოლოდ გიგა ბოკერიამ გააკეთა მცირე კომენტარი: „ასეთ სასაცილო ამბებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ“.

# ვანო მერაბიშვილმა სასამართლო პროცესზე იტირა



## ვის გვამებს ითხოვდა და ვის უხდის ბოდიშს ბრალდებული მინისტრი

რუსუდან შელია
557-100-768

**„მე ორი კაცი მინდა, ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი, ვსიო, პრემია დიდია“, — სწორედ ამ სიტყვებით მიმართავს 29 იანვარს გავრცელებულ სკანდალურ ვიდეოჩანაწერში სამხედრო პირებს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი. ვიდეომასალაში ასახულია სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირი, მათ შორის, ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ირკვევა, რომ მასალა უკავშირდება 2009 წელს მუხროვანის მოვლენების მონაწილე პირთა წინააღმდეგ ჩატარებულ სპეცოპერაციას, რის შედეგადაც, გარდაიცვალა გია კრიალაშვილი და მძიმედ დაიჭრა ორი ადამიანი. მუხროვანის მოვლენებში მონაწილე რამდენიმე პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა და გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს. კადრში კარგად ჩანს, რომ სამხედრო ფორმაში ჩაცმული პირები სამოქმედო გეგმაზე მსჯელობენ, ამ დროს შემთხვევის ადგილზე ვერტმფრენი ჩნდება და მათთან ვანო მერაბიშვილი მიდის. მუხროვანში განხორციელებული სპეცოპერაციის დაგეგმვაში ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, კუდ-ის ყოფილი უფროსი დათა ახალაია, თბილისის მერი გიგი უგულავა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი დირექტორი ირაკლი კოდუაც მონაწილეობდნენ.**

სოციალურ ქსელში გავრცელებულ კადრებს საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, 2009 წლის 5 მაისს მუხროვანის ბაზაზე მიმდინარე მოვლენები ამბოხებისთვის გასამართლებულმა სამხედროებმაც გაიხსენეს. **ლევან ამირიძის** განცხადებით, მაშინდელი ხელისუფლების მიმართ სამხედრო მეთაურებმა პროტესტი მართლაც გამოთქვეს, რადგან მათი ინფორმაციით, კარვების ქალაქის დარბევა იგეგმებოდა: **„2009 წლის 5 მაისს, მუხროვანში სამხედრო მეთაურებმა მაშინდელ ხელისუფლებას პროტესტი გამოვუცხადეთ. შეგახსენებთ, იმ პერიოდში ქვეყანაში კრიზისი იყო — 3-თვიანი საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა, რუსთაველის გამზირი კი კარვების ქალაქად გამოცხადდა. ყველა წინაპირობა შეიქმნა, 2007 წლის 7 ნოემბერი განმეორებულიყო. ხელისუფლება აღლუმისთვის ემზადებოდა, რასაც, თავისთავად, კარვების ქალაქის აღება უნდა მოჰყოლოდა. სპეცოპერაციების დაჯგუფების რეინჯერთა ბატალიონის მეთაური ვიყავი და ზუსტად ვიცოდი, მაშინდელი ხელისუფლება უკან არაფერზე დაიხევდა, რადგან მათი ფსიქოლოგია შესწავლილი მქონდა. ხალხი რომ არ დაერბიათ, რამდენიმე მეთაურმა პროტესტის გამოხატვა გადავწყვიტეთ... სამხედრო დაგეგმარებაში სხვადასხვა ეტაპია გასავლელი — როდესაც გაძლიერებული საბრძოლო მზადყოფნა ცხადდება და შეიარაღებული ქვედანაყოფები ორი-სამი თვის განმავლობაში საბრძოლო, ყაზარმულ რეჟიმზე გადადიან, ამას უკვე ბრძანებაც მოჰყვება. იმ ღამით, ჩემი მოადგილე დააკავეს და მივხვდით, პროვოკაციას ამზადებდნენ — რამდენიმე კაცს ათქმევინებდნენ, რომ ჩვენ ნატო-ს წვრთნების ჩაშლას ვგეგმავდით, რაც, მომავალში, გამოძიებამ არ დაადასტურა. 12-12 ათასი ლარი აიღო იმ სამმა პირმა, რომლებმაც ჩაგვცხრილეს. თანამებრძოლებისგან ვიცი, როდესაც დაგვაკავეს, ვანო მერაბიშვილი ეუბნებოდა, რატომ არ დახოცეთ ეს ჯარისკაცები, დახვრიტეთ ადგილზე და მოაწყვეთ ისე, თითქოს, გაქცევას აპირებდნენო. მაგრამ ერთ-ერთი სამხედრო მაღალჩინოსანი გადაგვეფარა — რას აკეთებთო?!“**

ამირიძის თქმით, ინტერნეტში გავრცელებული კადრები მუხროვანის სამხედრო ნაწილის ტერიტორიის გარეთ, გამშვებ პუნქტზეა გადაღებული და იმ ადამიანებს, რომლებიც კადრებში ჩანან და განკარგულებებს გასცემენ, პირადად იცნობს — ისინი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელი პირები არიან.

**კობა კობალაძის** განცხადებით კი, რომელიც ასევე მუხროვანის ამბოხებისთვის გაასამართლეს, სოციალურ ქსელში გავრცელებული კადრები რეალურად არსებული ვიდეომასალის მხოლოდ მცირე ნაწილია: **„რაში სჭირდებოდათ ნაციონალებს ციხეში გადაღებული ან უდანაშაულო ბავშვების დახოცვის ამსახველი კადრები? ყველგან, სადაც გაიარეს, სისხლი დატოვეს. მსგავსი მეთოდებით ისინი საზოგადოებაზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდნენ. რეალურად, მაშინ მათ ვერავინ დააჯერებდა, რომ ოდესმე, სამართლის წინაშე პასუხისგება მოუწევდათ. ეს იყო კასტა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ხელისუფლებაში 50 წელი იქნებოდნენ და ქვეყანაში მიმდინარე ვითარებას საკუთარი შეხედულებისამებრ გააკონტროლებდნენ. სოციალურ ქსელში გავრცელებული კადრები პირველი და ერთადერთი ვიდეო არ არის. არსებობს კადრები, სადაც ყოფილი მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს მიუთითებს, ვის აქვს ამ ქვეყანაში ცხოვრებისა და არსებობის უფლება, ან ვინ უნდა იყოს ლიკვიდირებული. გავრცელებული მასალა კარგად ასახავს იმ მდგომარეობას, რომელშიც 9 წლის განმავლობაში ვიყავით. მარტო დაგეგმარების მიმდინარეობა ნახეთ... მტაცებელთა ხროვას ჰგვანან, რომლებსაც ნადავლი სწყურიათ. პირადად მე, სახლიდან ჟურნალისტების მეშვეობით გამომიტყუეს და სპეცოპერაცია სახლის წინ ჩამიტარეს“.**

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის, **თამარ ქაროსანიძის** განცხადებით კი, კადრებში ამოცნობილი სამხედრო მოსამსახურეები — შმაგი თელია და დავით ნაირაშვილი შეიარაღებულ ძალებში დღესაც მსახურობენ: **„გამოძიების შედეგებს დაველოდებით და თუ ამ პირების ბრალეულობა გამოიკვეთება, შესაბამის გადაწყვეტილებასაც მივიღებთ. გამორიცხული არაა, თუ გამოძიებას დასჭირდება, ისინი თანამდებობას დროებით ჩამოშორდნენ“.**

სამხედრო ექსპერტი **გიორგი თავდგირიძე** აცხადებს, რომ გავრცელებულ ვიდეომასალაში რამდენიმე დანაშაული იკვეთება: **„ცალსახად იკვეთება რამდენიმე დანაშაული, არა მხოლოდ გაცემული ბრძანება, რომელიც, თავისთავად, დანაშაულებრივია, არამედ შეიარაღებული ძალების იმდროინდელი ხელმძღვანელობა უპრობლემოდ იღებს ამ ბრძანებას და შემდგომ ასრულებს. არანაირი პროტესტი მათგან არ მოდის და არც ამ ბრძანების დაზუსტება ხდება“.** მისივე თქმით, კადრების ავთენტურობის საკითხი ეჭვს არ იწვევს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლების თქმითაც, ივანე მერაბიშვილის მიერ სპეცრაზმელებისთვის მიცემული დავალება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. ახალგაზრდა იურისტები მიიჩნევენ, რომ პროკურატურამ, ვიდეომასალის ავთენტურობის გარკვევის შემდეგ, უნდა დაადგინოს, როგორ დაიგეგმა მუხროვანის სპეცოპერაცია, როგორ განხორციელდა და წინასწარ დაისახეს თუ არა მიზნად რომელიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

პროკურატურას, სათანადო გამოძიების ჩატარებისკენ საქართველოს პრეზიდენტმაც მოუწოდა. უდანაშაულობის პრეზუმპცია რომ არ დაერღვია, **გიორგი მარგველაშვილმა** შეფასებებისგან თავი შეიკავა და განაცხადა: **„ვნახე ეს კადრები და ამ ეტაპზე, პოლიტიკური შეფასება არ უნდა გავაკეთოთ. ეს კადრები პროკურატურის ინტერესის საგანი უნდა გახდეს. მათი ავთენტურობის დადგენა და სხვა დეტალების გარკვევა პროკურატურის საქმეა. მოვუწოდებთ პროკურატურას, შეისწავლოს კადრების წარმომავლობა, შინაარსი და მათი დაკავშირება რეალურ შესაძლო პროცესებთან“.**

პროკურატურა სოციალურ ქსელში გავრცელებული კადრებით უკვე დაინტერესდა, ვიდეომასალის საფუძველზე გამოძიება დაიწყო. პროკურატურის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ კადრებში მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან უკანონო ბრძანების გაცემის ფაქტი აშკარაა: **„ვინაიდან ჩანაწერში აშკარად ჩანს მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან უკანონო ბრძანების გაცემა, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. მთავარი პროკურატურა, აღნიშნული გამოძიების ფარგლებში, მუხროვანში ჩატარებული სპეცოპერაციის კანონიერებას შეისწავლის, რასაც შედეგად, კობა ოთანაძის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და გიორგი კრიალაშვილის ლიკვიდაცია მოჰყვა“.**

გავრცელებულ კადრებს ვიდეომასალის ერთ-ერთი „გმირი“ გიგი უგულავაც გამოეხმაურა, რომელმაც ვერ გაიხსენა, როგორ აღმოჩნდა მუხროვანის სატანკო ბატალიონის ტერიტორიაზე: **„მუხროვანში, თუ ზუსტად მახსოვს, პრეზიდენტთან ერთად რაიმე ღონისძიებაზე ვიყავი მისული. ამაზე მეტყველებს ჩემი და პრეზიდენტის იმ ადგილისთვის შეუფერებელი ჩაცმულობა. ბუნებრივია, ვანო მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა ამ სპეცოპერაციას და იქ სპეცრაზმელებსა და სამხედროებთან ერთად იყო. ვინც იცნობს მერაბიშვილს და მისი საუბრის არცთუ გამართულ მანერას, გაარჩევს, რა იგულისხმა მან. ეს კადრები კი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ გაავრცელა. მერაბიშვილი ჯერ კადრებში საუბრობს, ორი პიროვნების დაჭერასა და დაკითხვაზე, რაც შეეხება გვამებს, როგორც ოპერაციის ხელმძღვანელი, დავალებას აძლევს, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში, მათ ლეგიტიმური ძალის გამოყენების უფლება აქვთ“.**

აღნიშნულ კადრებს ვანო მერაბიშვილი ქუთაისში მიმდინარე სასამართლო პროცესზე გამოეხმაურა და პროკურატურას ობიექტური გამოძიებისკენ მოუწოდა: **„ცამდე მართალი ვარ და არ მრცხვენია, ვინაიდან არც ერთი მათგანის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოუყენებიათ. ჩვენი ინფორმაციით, მუხროვანის ამბოხში ორი რუსი მრჩეველი მონაწილეობდა და სწორედ მათი გვამების მოძებნას ვითხოვდი. ეს რუსი მრჩევლები აჟიოტაჟის ატეხვისა და კვალის დაფარვის გამო დახოცეს, სწორედ მაშინ ვთქვი — მომიძებნეთ ის ორი გვამი-მეთქი“.** თუმცა მოგვიანებით, ყოფილ-პრემიერ მინისტრს ემოციებმა სძლია, ოჯახს ბოდიში მოუხადა და ატირდა: **„ჩემს გამო ძალიან ბევრი ადამიანი ზეწოლას განიცდის. ჩემი ოჯახის წევრები ყოველდღიურ ზეწოლას ჩემს გამო 9 წლის განმავლობაში განიცდიდნენ, რაც ჩემდა სამწუხაროდ, დღემდე არ წყდება. მინდა მათ ბოდიში მოვუხადო და ვუთხრა, რომ მიყვარს“. როგორც ვანო მერაბიშვილის ადვოკატებმა განმარტეს, სასამართლო პროცესზე ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის ემოციები შვილის წერილმა გამოიწვია — „ვანო, მოდი მალე“ , რომელიც ბრალდებულს სასამართლო პროცესზე მიაწოდეს.**

ვერსიანიუსი

## ფალსიფიცირებული დიზელის საწვავის რეალიზაციის ფაქტზე 3 პირი დააკავეს



გამოძიების ცნობით, დაკავებულები არალეგალური ნავთობგადამამუშავებელ სახდელში „ჯინდალ პეტროლეუმ ოფერეითინგ კომპანიდან“ მოპარული ნედლი ნავთობის გამოხდასა და დიზელის რეალიზაციას ახორციელებდნენ. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია: **„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის ქურდობის, უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და ფალსიფიკაციის ფაქტებზე, შპს „ჯინდალ პეტროლეუმ ოფერეითინგ ქომპანის“ ოპერატორი რამაზ სტეფანაშვილი და მოქალაქეები — ზაზა ოსიაშვილი და ბონდო ბერუაშვილი დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ზაზა ოსიაშვილს თბილისში, დიდ ლილოში სოფ. წინაუბანში, სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ ლიცენზიის გარეშე, არალეგალური ნავთობგადამამუშავებელი სახდელი ჰქონდა მოწყობილი, სადაც იგი შპს „ჯინდალ პეტროლიუმ ოფერეთინგ კომპანიდან“ მოპარული ნედლი ნავთობის გამოხდას აწარმოებდა. აღნიშნული კომპანიიდან ნედლ ნავთობს, ზ. ოსიაშვილი დანაშაულში თანამონაწილე, ოპერატორ რამაზ სტეფანიშვილსა და ბონდო ბერუაშვილთან ერთად მართლსაწინააღმდეგოდ, ფარულად ეუფლებოდა და კუსტარულად მიღებული ფალსიფიცირებული დიზელის საწვავის რეალიზაციას შპს „ენერჯ ოილის“ ბენზინგასამართ სადგურებზე ახორციელებდა, რითაც დიდი ოდენობით შემოსავალს იღებდა. გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში ცენტრალური ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე და გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში აღმოჩენილი იქნა არალეგალურად მოქმედი სხვა ნავთობგადამამუშავებელი სახდელები, სადაც ასევე ხდებოდა კუსტარული, ფალსიფიცირებული დიზელის საწვავის მიღება. დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით, საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება“.**

*„პია.გე“*

# „საქართველო ძველი მანქანების სასაფლაოდ გადაიქცა, რასაც სასწრაფოდ უნდა ვუშველოთ“

## რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ავტომობილი ტექდათვალიერების გასავლელად

რუსუდან შელია
557-100-768



**ავტომობილების ტექდათვალიერება 13 თვეში აღდგება — 2015 წლის პირველი მარტიდან გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო პერიოდულ ტესტირებას დაექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და დადგენილი წესით რეგისტრირებული ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება. უკვე ცნობილია, რომ 900 ათასამდე რეგისტრირებული ავტომობილის ტექდათვალიერების უზრუნველსაყოფად, ეკონომიკის სამინისტრო კომპანია TUV Rheinland Group-თან მოლაპარაკებებს აწარმოებს. მომსახურების ფასი ჯერ დაუდგენელია. რა ბედი ეწევა იმ ტაქსის მძღოლებს, რომელთა უმეტესობა ძველი ავტომობილებით გადაადგილდება ან რა მექანიზმი აქვს შემუშავებული სახელმწიფოს შესაძლო კორუფციული გარიგებების წინააღმდეგ? „ვერსიას“ დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს მთავარი საბჭოს წევრი შალვა ოგბაიძე ესაუბრა.**

— საზოგადოებისთვის ტექდათვალიერება გარკვეულ შეზღუდვასთან ასოცირდება, თუმცა ფაქტია, რომ ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი პრობლემები დაგროვდა, მოქალაქეები, მგზავრობისას, დაცულნი უნდა იყვნენ ავტომობილის აფეთქებისგან ან საბურავის დაშვებისგან.

**განსაკუთრებით საშიშია მანქანის გამონაბოლქვი, რის გამოც, ხალხი ავადდება. სტატისტიკის მიხედვით, ბავშვებში ავადმყოფობის შემთხვევებმა იმატა, რაც, უმეტესად, გამონაბოლქვით დაბინძურებულ ჰაერთან პირდაპირ კავშირშია. დედაქალაქში არსებული ავტომობილების გამონაბოლქვის 80-90% მავნე ნივთიერებებს შეიცავს, ამიტომ მსგავსი ვითარება დაუსრულებლად არ უნდა გაგრძელდეს და პირველი ნაბიჯებიც უნდა გადავდგათ!**

ჩემი აზრით, ავტომობილი მინიმალურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, გამართულად მუშაობდეს მუხრუჭი, მაშუქი სისტემა, საბურავი გონივრული ცვეთის ზღვარზე იყოს და, რაც მთავარია, მანქანა, გადაადგილებისას, შავ გამონაბოლქვს ან საკმაოდ საშიშ უფერო კვამლს არ უნდა ტოვებდეს.

— **ცნობილია, რომ მაყუჩებზე დამაგრებული კატალიზატორები, რომელიც ძვირფას მეტალს შეიცავს, მძღოლების უმრავლესობამ გაყიდა. ახალი კატალიზატორის ფასი იცით?**

— ფასი ნამდვილად არ ვიცი, თანაც, ამ შემთხვევაში, კატალიზატორის ღირებულებაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ადამიანი ავტომობილს იმ დეტალს აჭრის, რომელიც მისი ოჯახის წევრებს მომწამვლელი გამონაბოლქვისგან იცავს. ქართული იდიოტიზმია — ასი ლარის გამო, შვილებს დახუთულ ჰაერში რომ ამყოფებ.

— **ალბათ, ვთანხმდებით, რომ კატალიზატორის გაყიდვა არცერთ მძღოლს ეხალისებოდა და მათი ქმედება მხოლოდ მძიმე სოციალური მდგომარეობით იყო განპირობებული.**

— არა მგონია, ასი ლარის გამო, კატალიზატორის გაყიდვა გამართლებული იყოს! საქართველოში გამონაბოლქვის წინააღმდეგ მინიმალური სტანდარტი მაინც რომ ყოფილიყო, მაყუჩებზე კატალიზატორს არავინ მოჭრიდა. ვიმეორებ, ამ ქართულ იდიოტიზმს წერტილი უნდა დაესვას!

— **წერტილი იმ მძღოლებსაც უნდა დაესვას, რომელთა უმრავლესობა ძველი ავტომობილით გადაადგილდება?**

— მოდი, დავფიქრდეთ, ვინ უფრო გაჭირვებულია — ადამიანი, რომელსაც მანქანა ჰყავს და პურის ფული არ აქვს, თუ ადამიანი, რომელსაც არც მანქანა ჰყავს და ვერც პურს ყიდულობს?! მოქალაქეს, რომელსაც 15 ათასდოლარიანი 8-9 წლის BMW X5 ჰყავს, გაჭირვებულებად ნამდვილად ვერ ჩავთვლი.

— **ტაქსის მძღოლებზე გეკითხებით, რომელთათვისაც ძველი ავტომობილი შემოსავლის ერთადერთი წყაროა!**

— ვთქვათ, ტექდათვალიერება ბუნებაში არ არსებობს. როცა ავტომობილის ხუნდი ცვდება, ტაქსის მძღოლი ახალს ყიდულობს, უმუხრუჭოდ ხომ არ მოძრაობს?! რატომ არ გვეცოდება ეს ადამიანი იმის გამო, რომ მანქანისთვის მუხრუჭის ყიდვა სჭირდება?

— **დამატებით ხარჯებზე გეკითხებით, რაც ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში გაუქმებული იყო...**

— 10 წლის განმავლობაში ტექდათვალიერება მსუბუქი ავტომობილებისთვის შეჩერებული იყო, სატვირთო მანქანებზე კი ჩვეულებრივად მოქმედებდა. თანაც არ შეიძლება რაღაცის გამართლება იმ არგუმენტით, რომ გვიჭირს. გასაგებია, საქართველოს ეკონომიკა მართლაც მძიმე დღეშია, იაპონიიდან შემოსული 3 ათასდოლარიანი ავტომობილებიც კარგი ცხოვრების შედეგი ნამდვილად არ არის, მაგრამ არსებობს საკითხი, რომელზეც საზოგადოება უნდა შეთანხმდეს. ტაქსის მძღოლი ფულს შოულობს და ასეა თუ ისე, მშიერიც არ არის, ზოგიერთი ადამიანი კი სახლიდან ვერ გამოდის და უმწეოა, ამიტომ უნდა ჩამოვყალიბდეთ, ვინ უფრო გაჭირვებული და უმწეოა და ვის სჭირდება სახელმწიფოსგან შეღავათი.

— **თქვენთვის ცნობილია, დაახლოებით, რა ეღირება ავტომობილების ტექდათვალიერება ან, საერთოდ, თუ არსებობს სტატისტიკა — საქართველოში რა რაოდენობის მანქანა ითვლება გადაადგილებისთვის უვარგისად?**

— ტექდათვალიერების ზუსტი ფასის დასახელება არ შემიძლია, თანაც, გააჩნია, მანქანის პრობლემებს. ამ შემთხვევაში, მანქანის წესრიგში მოყვანაზეა საუბარი, რაც უმეტესწილად, მძღოლის შინაგან კულტურაზეა დამოკიდებული — ავტომობილი პერიოდულად, ზეთის შეცვლასა და სხვა აუცილებელი პროცედურების გავლას ითხოვს. რაც შეეხება სტატისტიკას, ბუნებრივია, ქართული ავტოპარკი გერმანულისგან ბევრად განსხვავდება, ამიტომ ევროპული სტანდარტები საქართველოში ვერ იმუშავებს. ვფიქრობ, არსებულ რეალობას სახელმწიფო გაითვალისწინებს.

**ქვეყანაში ავტომობილების, დაახლოებით, 80% 20 წელიწადზე მეტი ასაკისაა, ამიტომ ტექდათვალიერება ამ რეალობას ერთ თვეში ან ერთ წელიწადში ვერ შეცვლის — ავტოპარკი ეტაპობრივად უნდა გაახალგაზრდავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად ამ რეალობაში ცხოვრება მოგვიწევს. ფაქტია, საქართველო ევროპული და ძველი მანქანების სასაფლაოდ გადაიქცა, რასაც სასწრაფოდ შველა სჭირდება.**

— **უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, ტექდათვალიერებაც ეტაპობრივად განხორციელებულიყო?**

— ბუნებრივია, ყველა მანქანა არ შემოწმდება. ახალი ავტომობილების ტექდათვალიერება ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება, ასაკის მატებასთან ერთად ორ წელიწადში ერთხელ და ა.შ. ერთბაშად ავტომობილების შემოწმებას არავინ დაიწყებს, ამ მიმართულებით ახალი საწარმოო სიმძლავრეებიც უნდა აშენდეს. არსებული 24 სადგურის გამტარუნარიანობა საქართველოში დარეგისტრირებულ ავტომობილებს არ ეყოფა. რიგები და სადგურების მოუწესრიგებლობა ამ იდეის დისკრედიტაციას მართლაც მოახდენს, მაგრამ ვფიქრობ, ეს არავის ინტერესებში შედის.

— **რა პრინციპით შეირჩა ტესტირებისთვის TUV Rheinlan Group, რომელთანაც ეკონომიკის სამინისტრო მოლაპარაკებებს აწარმოებს?**

— როგორც ვიცი, აღნიშნულ კომპანიასთან მოლაპარაკებები, ჯერჯერობით, არ დასრულებულა, რაც შეეხება თავად ორგანიზაციას, მერწმუნეთ, ეს მსოფლიო დონის გერმანული კომპანიაა, რომელიც 61 ქვეყანაში 500-ზე მეტ ფილიალს მოიცავს. ორგანიზაცია ამ მიმართულებით დასაქმებულ ოპერატორებთან ერთად იმუშავებს, ახლა მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ.

— **საქართველოში ტექდათვალიერება კორუფციის ბუდე იყო, რა გარანტია გვაქვს, რომ ახლაც იგივე შედეგებს არ მივიღებთ?**

— ამ მხრივ, სახელმწიფოს პოლიტიკური ნება აქვს და მაქსიმალურად ცდილობს, პროცესი გამჭვირვალედ წარიმართოს. მართალია, წინა ხელისუფლებას საკმაოდ მწვავედ ვაკრიტიკებდი, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის დროსაც კი, გზაზე ქრთამის გადახდის პრობლემა მოგვარებული იყო. სწორედ ამიტომ მიმაჩნია პატრული საზოგადოების მონაპოვრად. ახლა ისეთ დროში ვცხოვრობთ, მსგავსი ფაქტები არ დაიმალება, თანაც საზოგადოება კორუფციის გარეშე ცხოვრებას შეეჩვია. დღეს ბევრად განვითარებულნი ვართ იმისთვის, რომ ფულის გამომძალველს მუშტი ვუთავაზოთ.



## ტრანზიტული მოსაკრებლის დაწესება თურქეთში ქართველ გადამზიდავებს დააზარალებს

პირველი თებერვლიდან თურქეთში ტრანზიტული გადაადგილება ქართველი გადამზიდავებისთვის ფასიანი ხდება, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სახმელეთო სატრანსპორტო სააგენტო ავრცელებს: **„თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს 2014/89769977-ტიფლის BE/4211730 ნოტის საფუძველზე გაცნობებთ, რომ 2014 წლის 1 თებერვლიდან თურქეთის რესპუბლიკის ტრანსპორტის, საზღვაო და კავშირგაბმულობის სამინისტროს გადაწყვეტილებით დაწესდა გადასახადი 113 აშშ დოლარის ან მისი ექვივალენტი თურქული ლირის ოდენობით, როგორც საპასუხო ზომა, მესამე ქვეყანაში სატრანზიტო გადაზიდვების განმახორციელებელი (ცარიელი-დატვირთული) ქართული სანომრენიშნიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის „ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის“ (ECMT) ნებართვით ქვეყანაში შესვლისა და გამოსვლის დროს ცალ-ცალკე“.**

მოსაკრებლის დაწესებას ქართველი გადამზიდავები უარყოფითად აფასებენ. კომპანია „იკა ტრანსის“ მენეჯერის, ალექსანდრე ღიბლაძის თქმით, ევროპიდან თურქეთის გავლით საკმაო რაოდენობის საყოფაცხოვრებო პროდუქცია შემოდის, თუმცა, ადგილობრივ კომპანიებს მუშაობა მაინც უჭირთ: **„კონკურენციას თურქი გადამზიდავები გვიწევენ, რომელთაც გაცილებით დიდი ავტოპარკი აქვთ. ისინი მოგების მინიმალურ მარჟებზე, სამაგიეროდ, დიდ ბრუნვაზე მუშაობენ, რაც ჩვენს შემთხვევაში, წარმოუდგენელია. ახალი მოსაკრებელი ჩვენთვის დამატებითი ხარჯია, მაგრამ გადაზიდვის ტარიფებს კონკურენციის გამო ვერ გავზრდით, შესაბამისად, ისევ ჩვენ დავზარალდებით“.**

*BPN*



## შსს-მ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მეხუთე განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ- სამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1944 წელს დაბადებული ზარი ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 29 იანვარს თბილისში, დოლიძის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ყოფილ სიძეს – კარლო სულავას დანით გულმკერდისა და ფეხის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ზარი ბ. მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

*„ვერსიანიუსი“*

# „წყალი მარგებელი“ ორი ოლიმპიური ფესტივალის — „თბილისი 2014“-ისა და „თბილისი 2015“-ის პლატინის სპონსორი გახდა

**29 იანვარს, მძლეოსნობის ფედერაციაში, ს/ს „წყალი მარგებელსა“ და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის მიხედვით, „წყალი მარგებელი“ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ისა და ევროპის მძლეოსნობის 2014 წლის გუნდური ჩემპიონატის მე-3 ლიგის პლატინის სპონსორი გახდა. მემორანდუმზე ხელი მოაწერეს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა, ალექსი ახვლედიანმა და კომპანია „წყალი მარგებელის“ დირექტორმა, ავთანდილ სვიმონიშვილმა.**




## ავთანდილ სვიმონიშვილი: „მუდმივად ვაგრძნობინებთ ორგანიზატორებს, რომ ჩვენი კომპანიის სახით, საიმედო პარტნიორი აირჩიეს“

მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტის, **ალექსი ახვლედიანის** განცხადებით, საქართველომ ევროპის მძლეოსნობის 2014 წლის გუნდური ჩემპიონატის მე-3 ლიგის ჩატარების უფლება 2013 წლის ოქტომბერში, ტალინში გამართულ ევროპის ასოციაციის კონგრესზე მოიპოვა. საქართველოსთან ერთად. ჩემპიონატში 15 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, თითოეულ გუნდს 50 სპორტსმენი და 13 მწვრთნელი წარადგენს. შეჯიბრი ყოველწლიურია, ივნისში იწყება და 2 დღის განმავლობაში გრძელდება. 2014 წელს, ეს ჩემპიონატი თბილისში, 21-22 ივნისს გაიმართება.

მძლეოსნობის პოპულარიზაციის გარდა, ეს ტურნირი საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა და ტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს, რადგან დედაქალაქში ჩამოსულ გუნდებს, უამრავი გულშემატკივარი ჩამოჰყვება:

**„მძლეოსნობის 2014 წლის გუნდური ჩემპიონატის მე-3 ლიგის გარდა, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“ ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი სპორტული მოვლენა იქნება. ფესტივალი ხელს შეუწყობს სპორტის იმ 9 სახეობის პოპულარიზაციას, რომელიც „თბილისი 2015“-ის პროგრამაში შედის. 2015 წლის ივლისის ბოლოს, თბილისში 49 ქვეყნის 4 000-ზე მეტი სპორტსმენი მოიყრის თავს. ევროპული სტანდარტების მიხედვით მოწესრიგდება სპორტული ინფრასტრუქტურა და ოლიმპიური სოფელი აშენდება. რაც შეეხება „თბილისი 2014“-ს, ეს ჩემპიონატი ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იქნება, რათა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი — „თბილისი 2015“-ისთვის უფრო უკეთ მოვემზადოთ“,** — განაცხადა **ალექსი ახვლედიანმა**.

„წყალი მარგებელის“ დირექტორმა, **ავთანდილ სვიმონიშვილმა** აღნიშნა, რომ კომპანიისთვის დიდი პატივია, ასეთი მასშტაბური ღონისძიების მხარდაჭერა და ამ ტიპის საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობის მიღება:

**„ვფიქრობ, ეს არა მხოლოდ ქართული სპორტის განვითარებას, არამედ — ქვეყნის წინსვლასა და მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს დამკვიდრებას შეუწყობს ხელს, რასაც „წყალი მარგებელი“, როგორც ქართული კომპანია, აუცილებლად გვერდში დაუდგება. ჩვენი კომპანიის დაარსების დღიდან, ანუ 1997 წელიდან, მისი ბრენდები — „ნაბეღლავი“ და „ბახმარო“, ჯანსაღი ცხოვრების წესს მაქსიმალურ პოპულარიზაციას უწევს. ეს მეორე, მნიშვნელოვანი მიზეზია, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიგვეღო და საერთაშორისო მასშტაბის ორივე სპორტული ღონისძიების პლატინის სპონსორები გავმხდარიყავით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა ახალგაზრდებში, მომავალ თაობაში. ამიტომ მადლობას ვუხდით მონაწილეებს, რომლებმაც ასეთი მშვენიერი შესაძლებლობა მოგვცეს, რათა კარგ საქმეს მხარი დავუჭიროთ“.**

ს/ს „წყალი მარგებელის“ დირექტორის განცხადებით, მატერიალურ დახმარებასთან ერთად, კომპანია დღეიდან იწყებს ამ სპორტული ღონისძიებების პრომოუშენს, რომელიც 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალის დასრულებამდე გასტანს. მისივე თქმით, „წყალი მარგებელი“ მუდმივად აგრძნობინებს ორგანიზატორებს, რომ ამ კომპანიის სახით, მათ მართლაც საიმედო პარტნიორი აირჩიეს.

*მაია მიშელაძე*

# საწვავი ძვირდება



ლარის კურსი საწვავის ფასებზე ადეკვატურ გავლენას ახდენს. ქართველი იმპორტიორების განცხადებით, ეროვნული ვალუტის გაუფასურება თუ გაგრძელდა, საწვავზე არსებულ ფასებს ვერ შეინარჩუნებენ. რა მაჩვენებლით შეიძლება გაძვირდეს საწვავი, კომპანიებში ვერ აკონკრეტებენ.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში ვარაუდობენ, რომ ამ დიაპაზონში (რაშიც ლარია დოლართან მიმართებაში) საწვავი, შესაძლოა, მაქსიმუმ 5 თეთრამდე გაძვირდეს.

სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო საწვავის ფასის მატება მცირე ინტერვალით დეკემბრიდან დაიწყო, თვის ბოლოს კი 5 თეთრამდე გაიზარდა, მაგრამ იანვრის დასაწყისში 2-3 თეთრით შემცირდა კიდეც.

როგორც იმპორტიორთა კავშირში განმარტავენ, საერთაშორისო ბაზრებზე ფასების შემცირებამ კომპენსირება, გარკვეულწილად, ადგილობრივ ბაზარზეც მოახდინა, თუმცა საწვავის გაძვირება მაინც გარდაუვალი გახდა. დიდი ალბათობით, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

ქვეყნის ფინანსთა მინისტრი თავს იმით იმშვიდებს, რომ დოლართან მიმართებაში არა მხოლოდ ლარმა, არამედ ყველა ვალუტამ დაკარგა წონა. იგი არ გამორიცხავს, ეროვნული ვალუტის ოდნავ გაუფასურებამ საწვავის ფასზეც იმოქმედოს, თუმცა იმედოვნებს, რომ ეს პირდაპირპროპორციულ ზრდას არ გამოიწვევს.

რაც შეეხება ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს დოლართან მიმართებაში, **ნოდარ ხადურის** განმარტებით, არა მხოლოდ ლარმა, არამედ ყველა ვალუტამ დაკარგა პოზიცია დოლართან მიმართებაში: **„ლარი, დაახლოებით, 8%-ით გაუფასურდა, სხვა ქვეყნებში კი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, 20-40 ან 50%-იანი ვარდნაა. არანაირი საფუძველი არ არის იმისა, რომ ფასები პროპორციულად გაიზარდოს. როგორც იცით, არის რიგი პროდუქციისა, რომელიც უმნიშვნელოდ გაძვირდა, მაგრამ არის ისეთიც, რომლის ღირებულებაც არ გაზრდილა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. შეიძლება კურსი არ იცვლებოდეს, მაგრამ მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ფასი შეიცვალოს“.**

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით, ლარის გაცვლითი კურსი საწვავის საცალო ფასზე პირდაპირ გავლენას ახდენს.

**„საწვავის ფასზე მოქმედებს ორი ძირითადი ფაქტორი: პირველი — საერთაშორისო ფასი ნავთობპროდუქტებზე „პლატცის“ მიხედვით და მეორე – ლარის გაცვლილით კურსი დოლართან მიმართებაში. 2013 წლის ბოლოს, იმის გამო, რომ ლარი იყო გაუფასურებული, საწვავი 5 თეთრით გაძვირდა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ წლის დასაწყისიდან, მართალია, ლარი გაუფასურებას განაგრძობდა, მაგრამ საერთაშორისო ფასები იყო შემცირებული და ამან, გარკვეულწილად, კომპენსირება მოახდინა, ყოველ შემთხვევაში, ფასებზე არ უმოქმედია.**

**გარდა ამისა, სადღესასწაულო დღეები იყო და ფასების ზრდის მიმართულებით კორექტირება არ მომხდარა. მეტიც, ბენზინი 2-3 თეთრით გაიაფდა. რაც შეეხება სამომავლო პროგნოზს, ეს დამოკიდებულია ლარის ფაქტორზეც. თუ ეროვნულმა ვალუტამ კვლავ გააგრძელა გაუფასურება, ეს, სამწუხაროდ, საწვავის ფასზე გავლენას მოახდენს.**

**არის მეორე ფაქტორიც — საერთაშორისო ფასებმა დაიწყოს მატება და იგი საქართველოში საწვავის საცალო ფასზე აისახოს, თუმცა ამის ნიშნები ჯერ არ არის. ვინაიდან ეს უკანასკნელი ფაქტორი ჯერ არ შეიმჩნევა, გვრჩება ლარის გაცვლითი კურსი და, შესაბამისად, საწვავის ფასი დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ იმერყევებს ლარი დოლართან მიმართებაში. თუ ვარდნა გაგრძელდა, ბუნებრივია, საწვავის ფასზეც იმოქმედებს“,** — განმარტავს მთვრალაშვილი.

საწვავის გაძვირებას კომპანია „ლუკოილის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **შავლეგ მიშველაძე** პირდაპირ ლარის კურსის გაუფასურებას უკავშირებს: **„სავალუტო კურსის გავლენა არავისთვის არ არის სიახლე. ნებისმიერ იმპორტულ საქონელზე ეს არის ერთადერთი განმსაზღვრელი პირობა. ყველა გარიგებას დოლარში ვახდენთ. ასეთივე ლოგიკაა ნებისმიერ იმპორტულ ნაწარმთან დაკავშირებით. ამავე დროს, ჩვენს ინტერესებშია, ფასი მომხმარებლისთვის მისაღები იყოს. როგორც კი საშუალება მოგვეცემა, ფასი დაიწევს, თუცმა ამის წინაპირობა ჯერჯერობით არ არის“.**

ანალიტიკოსი ბექა კემულარია განმარტავს, რომ ადგილობრივ ბაზარზე ფასების ზრდა ვალუტის კურსის ცვალებადობას უკავშირდება და ხშირად კომპანიები ფასებს ერთნაირად ცვლიან, რაც არაჯანსაღი კონკურენციითაა გამოწვეული: „ვალუტის კურსი პირდაპირ არის მიბმული საწვავის ფასზე, რადგან შესყიდვა ხდება დოლარში. რამდენად შეესაბამება ეს 3-4 თეთრიანი ზრდა სავალუტო რყევას, კომპანიამ თავად უნდა გადაწყვიტოს. იმპორტიორებს შეუძლიათ, საწვავის ფასი თავიანთი სურვილის მიხედვით განსაზღვრონ, მით უმეტეს, ქართულ ბაზარზე არ არის ჯანსაღი კონკურენცია. ოლიგოპოლიურ კომპანიებს კონკურენციას უწევენ მხოლოდ არაბრენდირებული კომპანიები, რომელთა წილი ბაზარზე 10 პროცენტს არ აღემატება“.

*BPN*

# იძულებით აუქციონზე გატანილი ქონების საწყისი ფასის დაანგარიშების წესი იცვლება

იძულებითი აუქციონის ჩატარების ფორმების, წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში ცვლილებები შევიდა.

დოკუმენტის მიხედვით, ქონების საწყისი ფასის დადგენის მეთოდი იცვლება, კერძოდ, პირველ აუქციონზე მისი მოცულობა, საბაზრო ღირებულების 50%-ის ნაცვლად 75%-ით განისაზღვრება.

იმ შემთხვევაში, თუ პირველ აუქციონზე ქონების რეალიზაცია არ მოხდა, აღსრულების ეროვნული ბიურო აცხადებს პირველ განმეორებით აუქციონს, სადაც საწყისი ფასი უკვე საბაზრო ღირებულების 50%-ს შეადგენს (ძველ ვარიანტში ეს თანხა პირველ აუქციონზე გამოცხადებული საწყისი ფასის ნახევარს შეადგენდა).

თუ ქონების რეალიზაცია პირველ განმეორებით აუქციონზეც ვერ განხორციელდა, მეორე განმეორებითი აუქციონი გამოცხადდება, სადაც საწყისი ფასი უკვე ნულ ლარს შეადგენს. ნორმატიული აქტის თავდაპირველ ვარიანტში აუქციონი აღარ იმართებოდა. შესაბამისად, კრედიტორს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა ქონების ნატურით გადაცემა განმეორებითი აუქციონის ჩატარებიდან 15 დღის ვადაში.

მინისტრის ახალი ბრძანებით, თუ ქონების რეალიზაცია მეორე განმეორებით აუქციონზეც არ მოხდება, ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისგან და ქონება მოვალე უბრუნდება, გარდა სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულ ქონებაზე აღსრულებას გააგრძელებს ის აღმასრულებელი, რომელმაც ყადაღა ყველაზე ადრე დაარეგისტრირა.

ახალი ვარიანტით, თუ ქონების საბაზრო ღირებულება 5 000 ლარზე ნაკლებია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ტარდება მხოლოდ ერთი აუქციონი, რომელზეც ქონების საწყისი ფასი შეადგენს ნულ ლარს. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პირი არ გამოვლინდა, მოქმედებს განმეორებად აუქციონის წესი.

ამასთანავე, საკანონმდებლო ინიციატივით, მცირდება აუქციონის საგარანტიო თანხის მოცულობა და ნაცვლად ქონების საწყისი ფასის 10%-ისა, 5% -ით განისაზღვრა. „იძულებითი აუქციონის ჩატარების ბრძანებაში“ ცვლილებები ძალაში 28 იანვრიდან შევიდა.

*BPN*



## შსს პირადი ცხოვრების ამსახველ ახალ კადრებს 31 იანვარს გაანადგურებს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფარულ ვიდეომასალებში პირადი ცხოვრების ამსახველი ინტიმური ხასიათის კადრები კიდევ აღმოაჩინა. როგორც სამინისტროში უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის სხდომის შემდეგ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა, თამარ ქალდანმა განაცხადა, ვიდეომასალებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი განადგურდება, კერძოდ, ის ფაილები, რომლებიც ინტიმური ხასიათის მასალებს შეიცავს: **„დარჩენილ ფაილებში რამდენიმე ისეთი მასალა აღმოჩნდა, რომელიც პირად ცხოვრებას უკავშირდება და კომისიამ მიიჩნია, რომ მათი განადგურება აუცილებელია. ასევე მიღწეულია შეთანხმება, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს თავად ფაქტზე“.**

ქალდანისვე თქმით, შსს-მ მოახდინა მასალის მობილიზება, გადამუშავება, რათა გარკვეულიყო, ხომ არ შეიცავდა ინტიმური ხასიათის ინფორმაციას. მისი ინფორმაციით, მასალა დახარისხებულია და გამოყოფილია, რა არის გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი და რა გასანადგურებელი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გამო. მასალის ძირითადი ნაწილი საგამოძიებო ორგანოების ხელში იქნება, რათა გამოძიება დაიწყოს.

შსს-მ პირადი ცხოვრების ამსახველი 110 დისკი 2013 წლის 5 სექტემბერს გაანადგურა, ახლადაღმოჩენილი ჩანაწერები კი 31 იანვარს საჯაროდ განადგურდება. ამის შესახებ ინფორმაცია შს მინისტრის მოადგილემ, ლევან იზორიამ გაავრცელა. მისი თქმით, სულ აღმოჩენილია ორი დისკი, რომელიც ინტიმურ სცენებს ასახავს: „ეს ახლადაღმოჩენილი ორი დისკი ისევე, როგორც ის 110 დისკი, რომელიც გავანადგურეთ, შეეხება ისეთ ინტიმურ სცენებს, რომელიც დაზარალებულის ღირსებას შეეხება. ეს ორი დისკიც განადგურდება“.

იზორიას თქმით, დაახლოებით სულ 635 დისკზეა საუბარი, რომელიც 750 საათიან ინფორმაციასა და პოლიტიკური ნიშნით პოლიტიკურ ოპონენტებზე უკანონო თვალთვალს მოიცავს. ასევე მათ პირად ცხოვრებაზე ინფორმაციას. იზორიას განმარტებით, ის დისკები, რომლებიც არ განადგურდება, შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა პროკურატურას და დაიწყება გამოძიება.

ასევე გადაწყვიტეს, რომ საზოგადოებისთვის მომზადდება ფართო ანგარიში, რომლის პრეზენტაციაც 31 იანვარს გაიმართება.

***„ვესიანიუსი“***

moe.gov.ge

## გარემოს დაცვის სამინისტრო მოსახლეობას აფრთხილებს

1-2 თებერვალს საქართველოში ძლიერი ქარია მოსალოდნელი. გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, კოლხეთის დაბლობზე, ზემო იმერეთში და გორი-სურამის მონაკვეთზე აღმოსავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი იქროლებს. 2 თებერვლიდან, აღნიშნულ რეგიონებში, ქარის სიჩქარემ, დროგამოშვებით, შესაძლოა, 30მ/წმ-საც გადააჭარბოს.

საქართველოს ტერიტორიაზე უკვე დაიწყო ხმელთაშუა ზღვიდან შავი ზღვის გავლით გადმონაცვლებული შედარებით თბილი და ნოტიო, ხოლო კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დაშვებული ცივი ჰაერის მასების ურთიერთქმედება, რამაც ნალექი, მთასა და მაღალ მთაში კი თოვა გამოიწვია. გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების გამო საავტომობილო გზა ჩაიკეტა.

1 თებერვლიდან ნალექი ძირითადად შეწყდება, მაგრამ ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ 10-15 გრადუსით დაეცემა.

***„ინტერპრესნიუსი“***



# „ძირს ნაცქოცების მაფია, რომელიც თბილისელების ეკოციდს აგრძელებს“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**თბილისელების პროტესტის მიუხედავად, ვაკის პარკში ცხრასართულიანი სასტუმროს მშენებლობა განახლდა — ამ დღეებში, პარკში ბულდოზერები შეიყვანეს და ტერიტორიის გასუფთავება დაიწყეს. ვაკის პარკთან კვლავ საპროტესტო აქციები იგეგმება. ადგილობრივი მოსახლეობა ვაკის პარკში მორიგეობს და კომპანიას, რომელიც სასტუმრო „ბუდაპეშტის“ აშენებას აპირებს, სამშენებლო სამუშაოების ჩატარების საშუალებას არ აძლევს. 30 იანვარს, კომპანიის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ, პოლიცია გამოეძახებინათ. მოსახლეობა ამბობს, რომ სასტუმროს აშენებას ბოლომდე შეეწინააღმდეგება.**

ვაკის პარკში, რესტორან „ბუდაპეშტის“ ადგილას, 30-მეტრიანი სასტუმროს ასაშენებლად ნებართვა დედაქალაქის მერიამ გასცა. ამ ზონაში, სასტუმროს მშენებლობა, წესითა და რიგით, აკრძალული უნდა იყოს, მაგრამ „ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა“, განსაკუთრებით, ეს პარკებსა და ბაღებს ეხება. ყველას კარგად მოეხსენება, სასტუმროს როგორი ინფრასტრუქტურა, მისასვლელი გზები სჭირდება და, შესაბამისად, რამდენი ხე შეეწირება ამ საქმეს. რეალურად, საუბარია 1204.5 მ² ავტოსადგომზე, 1397.2 მოშენების ფართობზე, ნაკვეთის ზომა — 2863 მ², სასტუმროს ნომრების ფართობი — 4881.3 მ².

დედაქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელი სევდია უგრეხელიძე, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ვაკის პარკის მახლობლად სასტუმროს მშენებლობას აპროტესტებს და იქაურობას პარკის ტერიტორიად მიიჩნევს — საჯაროდ უცხადებს, რომ ეს ადგილი ვაკის პარკის ტერიტორია არ არის:

**„მთავრობა დაინტერესდა, ჩემი პოზიცია მოვახსენე. მათ ამის შესახებ კატეგორიული აზრი უაპელაციოდ და საკითხის შეუსწავლელად არ გამოუთქვამთ, თქვეს ის, რასაც, ზოგადად, ჩვენც ვეთანხმებით — განვითარება გარემოში მინიმალური ჩარევით უნდა მოხდეს, მაგრამ, როდესაც საქმე გვაქვს კერძო საკუთრებასა და ქალაქის განვითარებასთან, მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის ვაკის პარკის ტერიტორია“.**

როგორც სევდია უგრეხელიძე განმარტავს, სასტუმრო შენდება არა ვაკის პარკში, არამედ მის მახლობლად, კერძო ტერიტორიაზე:

**„ეს ვაკის პარკის ტერიტორია კი არა, კერძო საკუთრებაა, რომელშიც ინვესტიციას ახორციელებს სასტუმროს კერძო მესაკუთრე. პროექტი დამტკიცებულია კანონის შესაბამისად და კანონის შესაბამისადვე იყო გაცემული ნებართვა 9 ხის ჭრაზე. რაც შეეხება თემას — რამდენად მისაღებია ეს საზოგადოებისთვის — მინდა ვთქვა, რომ ყოველთვის ვდგავართ ალტერნატივის წინაშე, განხორციელდეს მშენებლობა, განვითარდეს ქალაქი, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები თუ ხელშეუხებლად იყოს მაგალითად რესტორან „ბუდაპეშტის“ ნანგრევები და დარბოდნენ ვირთხები. ამ ალტერნატივის შემთხვევაში, როდესაც ვირჩევთ განვითარებას, დასაქმებას, ტურიზმის განვითარებასა და სასტუმროს მშენებლობას — ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ცუდი არჩევანი გავაკეთეთ“.**

რაც შეეხება პროტესტანტებს, მათ შორის „გრინფისის მხარდამჭერთა ჯგუფი“ ბოლომდე იბრძოლებს, რომ „ნაციონალებმა და „ქოციონალებმა“ ვაკის პარკის განადგურების ხარჯზე ფული არ იშოვონ“:

**„ძირს ნაცქოცების მაფია, რომელიც თბილისელების ეკოციდს აგრძელებს. ნაციონალები და „ოცნების“ წარმომადგენლები ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე წილებს იყოფენ“,** – აცხადებს ლაშა ჩხარტიშვილი და „მეოცნებე ხელისუფლებას“ აფრთხილებს:

**„ვერც მესამე ხელისუფლების მიერ ჩემი მე-11 დაკავება-დაპატიმრება და 650-ლარიანი ჯარიმა დამახევინებს უკან, რომლის გადახდასაც, როგორც ადრე, ნებაყოფლობით არ ვაპირებ! მაინც ბოლომდე ვიბრძოლებ თბილისისა და თბილისელების ინტერესების დასაცავად, ასევე დანარჩენი საქართველოსთვის... ვაკის პარკისთვის, საყდრისის საბადოსთვის, სვანეთის არდატბორვისთვის... სიცოცხლის, ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ანუ სამშობლოს დასაცავად! რამდენჯერაც უნდა გამასამართლონ, მისმინონ — მითვალთვალონ და დამარბიონ, უკან მაინც ვერ დამახევინებენ! მეოცნებე ხელისუფლებას კი ვაფრთხილებ, თუ დროულად არ გადაუხვევენ ნაციონალების მიერ ავტორიტარიზმისკენ გაკვალული გზიდან, ისინი უფრო მალე და მძიმედ დაასრულებენ, ვიდრე წინამორბედნი“.**

ვაკის პარკში დაგეგმილმა მშენებლობამ საზოგადოებაში გამოხმაურება და პროტესტი გამოიწვია.

**ერეკლე ურუშაძე**: „ეს ნებართვა კანონის პირდაპირი დარღვევაა. ტერიტორია სარეკრეაციო ზონაშია, აქ მშენებლობაზე დაწესებულია მკაცრი რეგულაციები და სასტუმროს მშენებლობა დაუშვებელია. პარკების, ხეების ასე დაუნდობლად გაჩეხვა, კატასტროფამდე მიგვიყვანს“.

**ლუკა გონაშვილი: „არაფერი გამოგივათ. მენტალობა ხელს არ გვიწყობს ქართველებს, სუფრასთან ვართ პატრიოტები, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ერთი-ორი აქტივისტის გარდა, ხელს არავინ ანძრევს“.**

**ნელი მამასახლისი: „მალე ვაკის პარკში ბავშვებისთვის, მოხუცებისთვის სულისმოსათქმელი ადგილი აღარ დარჩება. ყველა წინ უნდა აღუდგეს ამ მშენებლობას, რადგან ერთი-ორი ასეთი ობიექტი და პარკში ხე არ დარჩება. რეკრეაციულ ზონაზე უარის თქმა საკუთარი მომავლის გაწირვას ნიშნავს და ამაზე ყველა უნდა დაფიქრდეს“.**

ვერსიანიუსი

## შსს-მ ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, ერთ პირი დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, სამტრედიის რაიონული სამმართველოს და ქარელის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1957 წელს დაბადებული, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი მალხაზ ჟ. ქურდული სამყაროს წევრობის და ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულს კავშირი ჰქონდა ე.წ. ქურდული სამყაროს წევრებთან. ასევე დადგინდა, რომ 2014 წლის 7 იანვარს მალხაზ ჟ-მ, თანამზრახველებთან ერთად, სამტრედიაში, კალანდარაშვილის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართი სადგური გაქურდა. დამნაშავეებმა გაზგასამართი დანადგარის სხვადასხვა აპარატურა წაიღეს.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობისა და ჯგუფურად ჩადენილი ქურდობის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით და 177-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).

***„ვერსიანიუსი“***

# თოჯინების თეატრიდან მსახიობები უკანონოდ გაათავისუფლეს



## რა ბრალდებებს უყენებს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ნიკოლოზ მჟავანაძე

რუსუდან შელია
557-100-768

**თეატრალურ სამყაროში სრული „ბარდაგია“, — ასე აფასებს არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე სხვადასხვა თეატრიდან მსახიობთა გათავისუფლებას. რა პოზიცია აქვს კულტურის სამინისტროს და ვინ აღადგენს თეატრებში სამართლიანობას, „ვერსიასთან“ ნიკოლოზ მჟავანაძე საუბრობს.**

— თეატრალურ სამყაროში სრული განუკითხაობაა, კერძოდ, თოჯინების თეატრიდან სამი მსახიობი: მარგარიტა გურული, დარია ბრანსბურგი და დალი მილორავა სამხატვრო ხელმძღვანელმა ელენე მაცხონაშვილმა გაათავისუფლა, მათ ნაცვლად კი, ნათესავები, მათ შორის, მამა, ბიძა და რძალი დანიშნა. პარადოქსია, მაგრამ ისინი თეატრის დღეს — 14 იანვარს გაათავისუფლეს.

**— მსახიობებს გათავისუფლების მიზეზი არავინ განუმარტა?**

— მიზეზად ჯანმრთელობის პრობლემები და საპენსიო ასაკი დასახელდა, თუმცა, ფაქტია, რომ საპენსიო ასაკსმიღწეული უამრავი მსახიობი დღემდე თეატრის სცენაზე დგას და ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს, ჯანმრთელობის პრობლემა კი არც ერთს აწუხებს და სამხატვრო ხელმძღვანელმა, უბრალოდ, იცრუა. ვფიქრობთ, თეატრიდან დამსახურებული მსახიობები კი, არა ელენე მაცხონაშვილის მსგავსი ადამიანები უნდა გაათავისუფლონ. გათავისუფლებულ მსახიობებს 42- წლიანი სტაჟი აქვთ და ბავშვების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით. ამიტომ დაუშვებელია ასეთ მსახიობებს დასცინონ და სამსახურიდან თეატრის დღეს გაათავისუფლონ. მათ ერთი სპექტაკლიც კი არ ჩაუგდიათ. პირიქით, თეატრს ერთგულად ემსახურებიან. ამ შემთხვევიდანაც ჩანს, რომ სახელმწიფო თეატრს ისე ექცევიან, როგორც კერძო საკუთრებას. კონკრეტულად, ელენე მაცხონაშვილი ისე მოქმედებს, თითქოს საკუთარ სახლს განაგებდეს. აღსანიშნავია, რომ სანამ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდოდა, ამ ადამიანებს წლების განმავლობაში ეფერებოდა და ეხმარებოდა. მოგეხსენებათ, სწორედ მეცენატის მატერიალური დახმარების შედეგად, მსახიობებმა საკუთარი სიცოცხლისა და თეატრის გადარჩენა მოახერხეს, ახლა კი, ბიძინა ივანიშვილის მიერ მოყვანილი ხალხი მისივე პოლიტიკას ეწინააღმდეგება.

**— როდის დაინიშნა ელენე მაცხონაშვილი თოჯინების თეატრის დირექტორად, ან რა პოზიცია აქვს კულტურის სამინისტროს მსახიობების გათავისუფლებასთან დაკავშირებით?**

— ელენე მაცხონაშვილი სამხატვრო ხელმძღვანელად არც ისე დიდი ხნის წინ დაინიშნა. ახალგაზრდა გოგონაა, რომელიც სტაჟიან მსახიობებს უაპელაციოდ ათავისუფლებს. რაც შეეხება კულტურის სამინისტროს, მართლა არ მესმის, ეს უწყება რისთვის არსებობს?! თუ ხელოვანი ადამიანების ინტერესები არ დაიცვეს და თეატრებში სამართლიანობა არ აღადგინეს, სხვა რა ფუნქცია აქვთ?

**— კულტურის სამინისტროში გათავისუფლებულ მსახიობებს არავინ შეხვდა?**

— არავინ... ამ დრომდე ვერ მოიცალეს მსახიობებისთვის. დაახლოებით, იგივე მდგომარეობაა ჭიათურის თეატრსა და, ზოგადად, თეატრალურ სამყაროში. ამ მიმართულებით დიდი „ბარდაგია“, პრობლემები აქვთ რეჟისორებსაც, ამ დროს კი, კულტურის სამინისტრო სირაქლემას პოზაშია — ვითომ ვერაფერს ხედავენ და ამჩნევენ. საერთოდ, რა საჭიროა ეს სამინისტრო, ტყუილად იხარჯება ბიუჯეტის თანხა მათ მაღალ ხელფასებზე, საქმეს კი არავინ აკეთებს... ამიტომ ირაკლი ღარიბაშვილს თეატრალურ სამყაროში არსებული პრობლემებით დაინტერესებისკენ მოვუწოდებთ, პრემიერ-მინისტრი ერთადერთი ადამიანია, რომელიც საზოგადოებაში დაგროვილ უკმაყოფილებაზე რეაგირებს. სახელმწიფო მსახიობების პრობლემის მოგვარებით უნდა დაინტერესდეს.

საინფორმაციო მხარდაჭერა

СВОБОДНАЯ
ГРУЗИЯ



## „ქალა არ დაიშუროთ, რომ ციხეში არცერთი ქალი არ დარჩეს“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სასჯელაღსრულების ქალთა 5 დაწესებულებას ესტუმრა, მსჯავრდებული ქალბატონები დალოცა და მათ მიერ შექმნილი ნივთები დაათვალიერა. შეხვედრა უწმინდესის ინიციატივითა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ორგანიზებით შედგა. ღონისძიებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილეები — გიგა გიორგაძე და არჩილ თალაკვაძე, დეპარტამენტის თავმჯდომარე დიმიტრი დარბაისელი, დეპარტამენტისა და დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

კათოლიკოს-პატრიარქმა პატიმრებს მიმართა და აღნიშნა, რომ მათთვის ილოცებს. ილია მეორემ სასჯელაღსრულების 5 დაწესებულების ბინადრებს თავისი სურვილიც გაანდო — უწმინდესმა სთხოვა საქართველოს პრეზიდენტს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრსა და პარლამენტს, ძალა არ დაიშურონ იმისთვის, რომ ციხეში არც ერთი ქალი არ იყოს.

სტუმრის პატივსაცემად, მსჯავრდებულებმა პოეზიის საღამო გამართეს, სადაც ერთ-ერთი მსჯავრდებული ქალბატონის ლექსები — „გისოსებსმიღმა დაწერილი სტროფები“ წაიკითხეს.

პოეზიის საღამოს დასრულების შემდეგ, სიონის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა მსჯავრდებული ქალბატონებისთვის რამდენიმე სიმღერა და საგალობელი შეასრულა.

ღონისძიების დასასრულს, პატრიარქმა მსჯავრდებულებს საჩუქრები გადასცა.

*„ინტერპრესნიუსი“*




## შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

დაკავებულია თბილისში, დელისის ქუჩაზე მდებარე სასტუმროს ადმინისტრატორი, 1948 წელს დაბადებული ნატალია რ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისთვის სასტუმროში ფართს უთმობდა. სამართალდამცველებმა სასტუმროში მომუშავე ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე სსსკ-ს 254-ე მუხლით მიმდინარეობს.

*„ვერსიანიუსი“*

## უკრაინაში ამნისტიის შესახებ კანონი მიიღეს

კანონის ამოქმედების წინაპირობა დემონსტრანტების მიერ დაკავებული ადმინისტრაციული შენობებისა და გადაკეტილი გზების გათავისუფლებაა.

უკრაინაში ამნისტიის შესახებ კანონი ერთი მოსმენით მიიღეს. რადამ, საბოლოოდ, კანონის ის პროექტი დაამტკიცა, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი უჭერდა მხარს.

კანონის ამოქმედების წინაპირობა დემონსტრანტების მიერ დაკავებული ადმინისტრაციული შენობებისა და გადაკეტილი გზების გათავისუფლებაა.

მაიდანზე შეკრებილებს პარლამენტის მოთხოვნა ოპოზიციის ლიდერებმა გააცნეს. აქციის მონაწილეები კანონის წინაპირობით უკმაყოფილო არიან და აცხადებენ, რომ დაშლას არ აპირებენ. უკმაყოფილების მიუხედავად, ღამემ კიევში მშვიდად ჩაიარა.

*„ნიუპოსტი“*

# პროვოკაცია თუ ჩაშლილი განზრახვა



მანდატურის სამსახური ბავშვთა დაცვის სამსახურად გადაკეთდება

**„წინა ხელისუფლების დროს მანდატურის ინსტიტუტი ის ძირითადი ბერკეტი იყო, რომლის საშუალებითაც ხელისუფლება რკინის ხელით მართავდა სკოლებს. ჩვენ ეს პირველსავე წელს შევცვალეთ და მანდატურის ინსტიტუტი სკოლაში მართლწესრიგის დამცავი სტრუქტურა გახდა. ამას გეუბნებით ჩემი მუშაობის დროს და რამდენადაც ინფორმირებული ვარ, ახლა ეს სისტემა უფრო სიღრმეში წავიდა და მანდატურის სამსახური უფრო მოქნილი სტრუქტურა გახდა, რომლის ფარგლებშიც ფსიქოლოგიური სამსახური, ბავშვების დახმარებაა გათვალისწინებული, ანუ დღეს ეს ინსტიტუტი არ მოგვაგონებს დიმიტრი შაშკინისდროინდელ სისტემას, რომლის პირობებშიც, სკოლისა და მასწავლებლის ტერორის სტრუქტურა იყო. შესაბამისად, ჩემი პოზიცია, არა როგორც პრეზიდენტის, არამედ, როგორც განათლების წინა მინისტრისა, არის ის, რომ ეს ინსტიტუტი სასკოლო სისტემისთვის სასარგებლოა“,** — ეს განცხადება, საქართველოს პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა** მას შემდეგ გააკეთა, რაც მანდატურის სამსახურის სავარაუდო გაუქმებასთან დაკავშირებით, ინფორმაცია გავრცელდა.

თავდაპირველად, ითქვა, რომ მანდატურის სამსახური, საერთოდ, უქმდებოდა. მოგვიანებით, „დაკონკრეტდა“ — იანვარში ამოქმედებული კანონის თანახმად, მანდატურის სამსახური სკოლების დირექტორებს დაექვემდებარა. განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრის, მანდატურების სამსახურის შექმნის ავტორის, **დიმიტრი შაშკინის** მტკიცებით, განათლების სამინისტროს მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა და მანდატურების სამსახურში შეტანილმა ცვლილებებმა ამ სამსახურს აზრი საერთოდ დაუკარგა: **„ეს სულელური მენეჯმენტისა და იმის გამო მოხდა, რომ ჩანს, განათლების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტი საერთოდ არ მუშაობს. ეტყობა, იქ ძალიან უვიცები არიან და დაავიწყდათ — სკოლამ მანდატურს ხელფასი რომ გადაუხადოს, მანდატური უნდა იყოს სკოლის შტატში, ხოლო სკოლას ამისთვის ბიუჯეტი უნდა ჰქონდეს. ახლა გაახსენდათ, რომ სკოლამ უნდა გადაუხადოს ფული მანდატურებს, რეფორმის შემდეგ კი ამ სამსახურს უკვე აზრი ეკარგება, რადგან ისინი, ფაქტობრივად, დირექტორების დარაჯები ხდებიან“.**

კიდევ უფრო პესიმისტური პროგნოზები გაკეთდა საზოგადოებაში — გაჩნდა ეჭვი, რომ დირექტორთა უმრავლესობა მანდატურის ანაზღაურებისთვის საჭირო თანხებს არ გამონახავდა და, შესაბამისად, სკოლები მანდატურების გარეშე დარჩებოდა, რამაც, მანდატურებთან ერთად, საკმაოდ გააღიზიანა მოსწავლეთა მშობლები. **„ბოლო წლებია შვილს სკოლაში რომ ვუშვებ, მშვიდად ვარ. არ ვფიქრობ იმაზე, რომ სკოლაში ვინმე რამეს დაუშავებს. ვიცი, გოგონებს საპირფარეშოში ბიჭები აღარ უცვივდებიან, იქაურობა სიგარეტის კვამლით აღარაა გაბუღული, მოსწავლეები ცივ იარაღს აღარ ატარებენ ჯიბით და ჩხუბიც, გაცილებით, იშვიათად მოსდით. მანდატური თუ აღარ იქნება, არ ვიცი, რა იქნება. ალბათ, ძველებურად შიშით გავუშვებ ბავშვს სკოლაში“,** — დაახლოებით ამ შინაარსის განცხადებები, ბოლო ორი დღის განმავლობაში, არაერთი მოსწავლის მშობელმა გააკეთა და ამგვარი დამოკიდებულება მოსალოდნელიც იყო იმ ფონზე, რომ მანდატურის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, სკოლებში ინციდენტების რაოდენობამ, მართლაც, საგრძნობლად იკლო. სტატისტიკა ასეთია — საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, „მანდატურის რეფორმის“ განხორციელების შემდეგ, სკოლების უსაფრთხოება 7%-დან 78%-მდე გაიზარდა.

პროტესტი გამოთქვეს მანდატურებმაც — მათ ელექტრონული ფოსტით მიიღეს შეტყობინება, სადაც მადლობას უხდიდნენ გაწეული სამუშაოსთვის და ატყობინებდნენ, რომ მანდატურის სამსახური გაუქმდა. მანდატურებმა გაფიცვა და სამსახურში გამოუცხადებლობა გადაწყვიტეს მანამ, სანამ თითოეული მათგანი არ მიიღებდა გარანტიებს, რომ სამსახურიდან არ დაითხოვდნენ; ასევე მოითხოვეს, მანდატურის სამსახურმა ფუნქციონირება გააგრძელოს, როგორც ცალკე სტრუქტურულმა ერთეულმა. მანდატურებმა საპროტესტო აქცია ჯერ განათლების სამინისტროსთან მოაწყვეს, მოგვიანებით კი, მანდატურის სამსახურის შენობასთან გადაინაცვლეს. განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა კი, გაავრცელეს საგანგებო განცხადება, სადაც ახსნილი იყო, რომ მანდატურის სამსახური კი არ უქმდება, სახელს იცვლის და ბავშვთა დაცვის სამსახური ხდება, სრულდება პროცედურული საკითხების განხილვა, რათა აღსრულდეს საკანონმდებლო მოთხოვნა, ამ ეტაპზე კი, ფუნქციურად არაფერი იცვლება: **„მანდატურის სამსახურის რეფორმა, პილოტური პროექტის ფარგლებში, წარმატებით განხორციელდა. სამსახურს ფსიქოლოგიური ცენტრებისა და კარიერის დაგეგმვის ფუნქციები დაემატა. შესაბამისად, სამსახური სკოლას კომპლექსურ მომსახურებას გაუწევს. წლის განმავლობაში, რეფორმაზე მუშაობისას, იმართებოდა დისკუსიები სხვადასხვა ფოკუსჯგუფებში, პრეზენტაციები ჩატარდა, მოეწყო განხილვები სატელევიზიო ეთერში... რეფორმიდან გამომდინარე, ზოგადი განათლების შესახებ კანონში ცვლილებები მომზადდა, რომელიც მთავრობამ მოიწონა და, შესაბამისად, კანონპროექტი პარლამენტში განსახილველად შევიდა. რაც შეეხება მიმდინარე ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, 2014 წლიდან მანდატურს სამსახურში სკოლა ნიშნავს, ის კანონში 2012 წლის 27 დეკემბერს შევიდა. მიმდინარეობს პროცედურული საკითხების დასრულება, რომ საკანონმდებლო მოთხოვნა აღვასრულოთ. ამ ეტაპზე, ფუნქციურად არაფერი იცვლება“.**

განათლების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის, **ნატა ასათიანის** განმარტებით: **„გავრცელებული ინფორმაცია მანდატურის სამსახურის გაუქმებასთან დაკავშირებით, ტყუილია. სამინისტრო ამ ინფორმაციას არ ადასტურებს და ასეთ ინფორმაციას Skype-ის საშუალებით არ ავრცელებს. პირიქით, მანდატურის სამსახური უფრო შინაარსიანი ხდება და სხვადასხვა სიახლეც იგეგმება“.**

განათლების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაურის** თქმით კი, **„კანონში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა. იგივე კანონში არსებობს ჩანაწერი, რომ სკოლას უნდა ჰყავდეს მანდატური და 2017 წლის დასაწყისამდე ეს უნდა იყოს უზრუნველყოფილი. გვაქვს უკვე სრული ინფორმაცია სკოლებიდან მოთხოვნის შესახებ — ვის სურს, რომ მანდატური ჰყავდეს“.**

განმარტება გააკეთა განათლების მინისტრმა **თამარ სანიკიძემაც**. მისი თქმით, **„მანდატურის სამსახურის გაუქმებასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია დაგეგმილი პროვოკაციაა და სიმართლეს არ შეესაბამება. უკვე გავეცით დავალება, რათა გაირკვეს, ვინ დგას ამ საქმის უკან. დირექტორის გადასაწყვეტი არ არის, ეყოლება თუ არა მანდატური, ვინაიდან კანონში წერია, რომ საჯარო სკოლას მანდატური უნდა ჰყავდეს. უბრალოდ, დირექტორი ხდება პროცესის თანამონაწილე, რათა გაიზიაროს ვალდებულება, რაც სკოლას, მანდატურის სამსახურსა და განათლების სამინისტროს ერთობლივად გააჩნია“.**

მოგვიანებით, მინისტრმა გამოთქვა მანდატურებთან შეხვედრის მზადყოფნა, რაზეც მანდატურების ნაწილმა, თავდაპირველად, უარი განაცხადა — შეხვედრა დახურულ რეჟიმში უნდა წარმართულიყო, მანდატურები კი ჟურნალისტების დასწრებას ითხოვდნენ.

მინისტრთან შეხვედრის შემდეგ, მანდატურებმა საპროტესტო აქცია შეწყვიტეს და განაცხადეს, რომ მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ.

**ნინო ქოჩორაშვილი** (მანდატური): **„მინისტრმა ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გაგვცა. წინა დღეები ძალიან ამაღელვებელი იყო. არ ვიცოდით, ვრჩებოდით თუ არა სამსახურში და, საერთოდ, რა ბედი ეწეოდა მანდატურის სამსახურს. მინისტრმა დადებითი პასუხები გაგვცა და, შესაბამისად, მანდატურის სამსახური ჩვეულად გააგრძელებს მუშაობას. მინისტრმა ასევე გვითხრა, რომ დირექტორი იქნება შუამავალი სამინისტროსა და მანდატურებს შორის და არც ხელფასის მხრივ იქნება პრობლემები“.**

განათლების მინისტრის, თამარ სანიკიძის განმარტებით, არც ერთი მანდატური სამსახურს არ დატოვებს: **„მანდატურების ეს რაოდენობა არასაკმარისია და კადრებს დავამატებთ“.**

*„ვერსიანიუსი“*

# რა პრობლემები შეექმნებათ თბილისელებს დედაქალაქის ბიუჯეტის არდამტკიცების შემთხვევაში



მაისის ბოლოდან ვარდების მოედანი მთაწმინდის პარკს პირდაპირ საბაგიროთი დაუკავშირდება — ინფორმაცია ამის შესახებ, თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის პრეზენტაციაზე, თბილისის მერის მოადგილე პაპუნა პეტრიაშვილმა გაავრცელა. მისი თქმით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია საბაგიროების მშენებლობა, კერძოდ, ვარდების მოედნიდან მთაწმინდის პარკამდე ახალი საბაგირო მოეწყობა. ამ მიზნით გათვალისწინებულია 3 მილიონი ლარი. თანამედროვე საბაგიროს მოსაწყობად სამუშაოები უკვე დაწყებულია. ეს პროექტი მთაწმინდის პარკთან ერთად განხორციელდება, ხოლო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს პარკი მოგვიანებით აანაზღაურებს.

პეტრიაშვილისვე განცხადებით, ტექნიკური პირობების გამო, რუსთაველზე არსებული ძველი სადგური აღარ იფუნქციონირებს, ახალი სადგური კი ვარდების მოედანზე მოეწყობა. ახალი საბაგირო იქნება იმ ტიპის, როგორიცაა რიყის ტერიტორიაზე.

ახალი საბაგიროს მშენებლობა, სავარაუდოდ, მაისის ბოლოს, ივნისის დასაწყისში დასრულდება, ამასთან, თბილისის მერია წელს სამგორი-ვაზისუბნის საბაგიროს აღდგენასაც გეგმავს, თუმცა პაპუნა პეტრიაშვილის განმარტებით, თბილისის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ქალაქის მოსახლეობა რიგი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება: მაგალითად, თებერვლის ბოლოდან სოციალური მიმართულების პროექტების დაფინანსებაში შეიქმნება პრობლემები — სამგზავრო შეღავათებით შეიძლება ველარ ისარგებლოს სოციალურად დაუცველმა 600 000-მა თბილისელმა. მარტიდან პრობლემები იქნება საბავშვო ბაღებისა და დასუფთავების სამსახურის დაფინანსების კუთხით, თუმცა პეტრიაშვილმა აქვე აღნიშნა, რომ სექტემბრიდან თბილისის მერია საბავშვო ბაღების ვაუჩერით დაფინანსებას გეგმავს. 2014 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტით, ბაღებისთვის გათვალისწინებულია 75 მილიონი ლარი, რაც თითქმის 25 მილიონ ლარზე მეტია შარშანდელ მაჩვენებლთან შედარებით. დღევანდელი მონაცემებით, თბილისის საბავშვო ბაღებში 48 ათასი აღსაზრდელია, 15 ათასი კი სახელმწიფო ბაღებში დარეგისტრირებას ვერ ახერხებს. თბილისის მერის მოადგილის თქმით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, პირველი სექტემბრიდან თითოეულ ბავშვს მერია გამოუყოფს 800 ლარს და აღსაზრდელებს შესაძლებლობა ექნებათ, ამ ვაუჩერით კერძო ბაღებშიც დარეგისტრირდნენ. ამით სახელმწიფო დაქვემდებარებაში არსებული ბაღებიც განიტვირთება; ამასთან, წელს ბაღების მშენებლობისთვის 15 მილიონი ლარია გათვალისწინებული, თბილისში აშენდება 10 ახალი ბაღი: შენობების დიზაინი უკვე შერჩეულია, ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, გამოცხადდება ტენდერი და თბილისის სხვადასხვა რაიონში სექტემბრისთვის უკვე ახალი 10 საბავშვო ბაღი იფუნქციონირებს.

ბიუჯეტის დამტკიცებამდე კი, პეტრიაშვილის თქმით, მერია, მოქალაქეებს სათანადო დახმარებას ველარ უწევს. მაგალითად, დედაქალაქის მუნიციპალიტეტი მიმართვის შემთხვევაში, ადრე თვეში თუ 100 ადამიანს ეხმარებოდა სოციალური პრობლემების მოგვარებაში, ბიუჯეტის არარსებობის გამო, მხოლოდ 60-70-მდე ადამიანს ეხმარებიან.

პაპუნა პეტრიაშვილმა შეხვედრაზე წარმოადგინა თბილისის ბიუჯეტის 226- გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს 66 პროგრამასა და 146 ქვეპროგრამას. ბიუჯეტის პროექტით პრიორიტეტს წარმოადგენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განვითარება, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-ექსპლუატაცია, ეკოლოგიური მდგომარეობა, მისი გაუმჯობესება და სხვა პრიორიტეტები.

თბილისის მერის მოადგილის განცხადებით, საკრებულოს მიერ ბიუჯეტთან დაკავშირებით, თავდაპირველად, იყო 14 შენიშვნა. ხუთ შემთხვევაში, საკრებულო ითხოვდა მუხლების დეტალურ გაშიფვრას, 4 შენიშვნა კი მერიამ არ გაიზიარა. 10 დეკემბერს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად შესულ პროექტს უკვე ჰქონდა 50-მილიონიანი ლარის დანართი, 29 დეკემბერს საკრებულომ აღნიშნული პროექტი არ მიიღო — 23 წინააღმდეგი იყო, 18 კი მომხრე. ბიუჯეტის დამტკიცებას 24 ხმა სჭირდებოდა, 20 იანვარს იგივე პროექტი თბილისის მერიამ კვლავ შეიტანა საკრებულოში. პაპუნა დავითაიამ აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქციის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას, ბიუჯეტი განიხილეს და იმედს გამოთქვამს, რომ თბილისს თებერვალში 2014 წლის ბიუჯეტი ექნება.

*„ვერსიანიუსი“*

# „სენაკის ბავშვთა სახლის აღსაზრდელის გვამი მუყაოს ყუთში ჩააგდეს და საიდუმლო ვითარებაში დამარხეს“




**რატომ ხურავენ ბავშვთა სახლებს? რა პირობებში აშვილებენ და ხორციელდება თუ არა იმ ბავშვების მდგომარეობის მონიტორინგი, რომლებიც ოჯახებს სახელმწიფოს მიერ გადახდილი 600 ლარის სანაცვლოდ მიჰყავთ? რა ხდებოდა ბავშვთა სახლებში ან როგორ ექცევიან ოჯახები აყვანილ ბავშვებს? სენაკის ბავშვთა სახლის ყოფილი ბენეფიციარი, ვალერი ჩიტაია გვიამბობს, რა ვითარებაში უწევდათ ბავშვთა სახლში ცხოვრება.**

— სენაკის ბავშვთა სახლში ვარ გაზრდილი და ვიცი, რა ხდება იქ. ჩემს დროს კარგი პირობები ნამდვილად არ იყო: წლების წინ ისეთი რაღაცები გამოვიარე, არ მინდა, სხვებმაც იგივე ბედი გაიზიარონ. ჩემი პროტესტიც ამას უკავშირდება — დღეს ბავშვები, ადრინდელთან შედარებით, უკეთეს პირობებში არიან. სენაკის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს, გაოცდებით, ისეთი პირობები აქვთ, მაგრამ არიან ადამიანები, სოციალური მუშაკები, რომლებსაც ისინი ბავშვთა სახლებიდან გაჰყავთ და ისეთ ოჯახებში აშვილებენ, შეიშლებით. იმ ოჯახებსაც ფულის გამო მიჰყავთ, თორემ ბავშვები სულ ფეხებზე ჰკიდიათ. პატარები სახლში ჰყავთ გამოკეტილი და არსად გაჰყავთ მაშინ, როცა ბავშვთა სახლში სწავლობენ, ხალხთან ურთიერთობაც აქვთ და მათზე ისეთი ადამიანები ზრუნავენ, ვინც ეს საქმე იცის. თვითონ ბავშვებსაც არ უნდათ წასვლა, მაგრამ აიძულებენ. მაქვს ინფორმაცია, რომ დაახლოებით ორი წლის წინ, ბავშვს, რომელიც მინდობით იყო ოჯახში, ვირუსი შეხვდა, რის შემდეგაც დააბრუნეს, მაგრამ მისი ავადმყოფობის შესახებ დამალეს... ბავშვთა სახლში არაფერი დააკლეს, მაგრამ მაინც ქუთაისის საავადმყოფოში გადასაყვანი გახდა, სადაც ერთი კვირა იწვა და შემდეგ გარდაიცვალა. ეს ფაქტი დირექტორს არც შეატყობინეს, რომ ეკლესიური წესით დაეკრძალა — ბავშვის გვამი მუყაოს ყუთში ჩააგდეს და ისე დამარხეს. დირექტორმა რომ მოიკითხა, უთხრეს — ექსპერტიზაზეა და მერე გადმოგცემთო. ამ ამბავთან დაკავშირებით, ლიკა სანებლიძეს დაურეკეს ჯანდაცვის სამინისტროდან, რომელმაც თქვა — მიანებეთ თავი, მომკითხავი მაინც არავინ ჰყავსო. მხოლოდ მის სიტყვებს ვციტირებ... ასეთი ადამიანები არიან სამინისტროში და მინდობით აღზრდაზე გაჰყავთ ბავშვები, სინამდვილეში კი, ყიდიან და არავის აინტერესებს, როგორ არიან ისინი ოჯახებში. ვიღაცამ ხომ უნდა ამოიღოს ხმა?!

— **ბავშვების მდგომარეობით არავინ ინტერესდება?**

— ერთადერთი ადამიანი, ვინც დაინტერესდა, მარი მესხია, რომელიც დღეს ბავშვთა სახლებს უდგას სათავეში და ვფიქრობ, მისი სახით ბავშვთა სახლებს ღმერთმა დროზე მოუსწრო. მარტო სენაკის ბავშვთა სახლში ბევრი მოზარდი გარდაიცვალა დაუდევრობით, ამაზე კი ხმა არავის ამოუღია ჩემს გარდა. ერთადერთი ადამიანი, ვინც ეს გააპროტესტა და სენაკის ბავშვთა სახლიდან მკვლელები გაყარა, მარი მესხი იყო.

— **ბავშვების მდგომარეობასთან დაკავშირებით, ოჯახებს პასუხს არავინ სთხოვს?**

— ვინ უნდა მოსთხოვოს? არანაირი პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ბავშვებს უდიერად ექცევიან. ბევრჯერ მივწერე მთავრობის წარმომადგენლებს, რომ არ დაიხუროს ბავშვთა სახლები, რადგან გაშვილებული ბავშვები ძალიან მძიმე პირობებში იმყოფებიან, მაგრამ არავინ გამომხმაურებია. 400-ზე მეტი წერილი მაქვს გაგზავნილი ბიძინა ივანიშვილის მთავრობაში მოსვლიდან დღემდე, მისთვისაც და პრემიერ ღარიბაშვილისთვისაც, მაგრამ... რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროს, წერილის გაგზავნას აზრიც არ აქვს, სანამ იქ გია კაკაჩია და მისნაირები არიან. იმდენი ბავშვი ჰყავთ გაყიდული... რთულ ვითარებაში არიან ეს ბავშვები.

ჩვენთან საუბრისას, კიდევ ერთი ბენეფიციარი აცხადებს, რომ არ უნდა, გააშვილონ. **უჩა ოსეფოვი: „არ მინდა, ეს ბავშვთა სახლი დაიკეტოს. სოციალური მუშაკები — ნანა პაჭკორია და ლიკა ჟვანია გვაიძულებენ, მინდობით აღზრდაში წავიდეთ, იქ კი ისეთი ბავშვები მიჰყავთ, რომლებიც ვერ აზროვნებენ, ხოლო ვინც ვაზროვნებთ, არ გვინდა აქედან წასვლა. სენაკში ერთი თავშესაფარია, კიდევ არის კოჯორსა და თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, რომელთაც დახურვით ემუქრებიან. სულ 26 ბავშვი ვართ, ძალიან კარგი პირობებია და აქედან წასვლა არ გვინდა, გთხოვთ, დაგვეხმაროთ“.**

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელ **თამარ ბოდოკიასაც** ვესაუბრეთ.

— **ქალბატონო თამარ, რატომ იხურება ბავშვთა სახლები?**

— ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაცია სამთავრობო პოლიტიკა იყო, რომლის მიხედვითაც, ნელ-ნელა, ყველა ბავშვი მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გადადიოდა.

— **ოჯახებს, რომლებსაც ბენეფიციარები მიჰყავთ 600 ლარს უხდით, შემდგომში მათი მდგომარეობის მონიტორინგს თუ ახორციელებთ?**

— მონიტორინგი ყოველწლიურად ტარდება.

*„ნიუსპრესი“*

# რა ხდება სუბარის ციხეში?



## ციხის თანამშრომელს კოლეგებმა ხელკეტებით სცემეს

გეგუთის ციხეში თანამშრომელს, ზაზა ბარძემიშვილს ხელკეტებით სცემეს. როგორც მისი მეუღლე თათა ღვალაძე ყვება, ზაზას ციხის მთვრალი უფროსი და მისი ხელქვეითი ურტყამდნენ, ინციდენტი კი 28 იანვარს, 20:00 საათზე მოხდა: **„ერთი კვირის წინ ჩემმა მეუღლემ ჩაატარა სპეცოპერაცია და დააკავა ციხის ექიმი, რომელიც ნარკოტიკსა და გამაყუჩებელ აბებს პატიმრებზე ყიდდა. უფროსმა, კახა ბებიამ ზაზას უთხრა — ახლა სახლში წადი და ამ ფაქტზე რეაგირებას ჩვენ მოვახდენთო. რომ გვეგონა, ამის გამო ჩემს მეუღლეს მადლობას ეტყოდნენ, დაიბარა წუხელ ბებიამ, რომელიც მთვრალი იყო და დაუწყო საქმის გარჩევა: ციხის თანამშრომელ ანა გაბიანს ხელი რატომ სთხოვეო. ჩემმა ქმარმა უთხრა, ცოლი მყავს, უამრავი პრობლემა მაქვს და სამსახურში ქალების შესარჩევად არ დავდივარო. ამის შემდეგ ზაზას აგინეს და ხელკეტებით დაუწყეს ცემა. როგორც ვიცი, იმ დღეს სამინისტროდან ვიღაც ჰყოლიათ სტუმრად, გაშალეს სუფრა და გამოთვრნენ, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ამ დაწესებულებაში. სხვათა შორის, ბებია 2005 წელს სისტემიდან სწორედ ნარკობარიგობისთვის გაუშვეს და ეჭვი მაქვს, იმ ექიმს სწორედ ეგ მფარველობს. ამ ამბავს ასე არ დავტოვებ, წუხელვე დავრეკე გენერალურ ინსპექციაში, პროკურატურაში, შევხვდები ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, მედიას. ჩემი ქმარი მოსაკლავად გაიმეტეს, ფაქტობრივად და არავის შევარჩენ. ამ ყველაფერს უყურებდნენ რეჟიმისა და უსაფრთხოების უფროსები, რომლებიც მოწმეებად დაუდგებიან ჩემს ქმარს. ასევე ვაპირებთ კამერების ჩანაწერის ამოღებას“.**

მომხდარის შემდეგ, სასჯელაღსრულების სამინისტროს დავუკავშირდით: **„ერთადერთი, რაც შეგვიძლია გითხრათ, სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო ამ ფაქტზე გენერალურ ინსპექციაში“,** — გვითხრა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა **თაია მახარაშვილმა.**

*„გურიანიუსი“*

## ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრა გაიმართა



პროექტის — „პოლიციელთა შესაძლებლობების ზრდა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში“ — ფარგლებში, სამეთვალყურეო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას საქართველოში ესტონეთის საელჩოს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს, ესტონეთის უსაფრთხოების მეცნიერებების აკადემიის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე „საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობა“, პროექტის ფარგლებში გამართული კონფერენციების, ტრენინგებისა თუ სასწავლო ვიზიტების შედეგები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

პროექტი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს, ესტონეთის უსაფრთხოების მეცნიერებების აკადემიასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2012 წლიდან ხორციელდება. მისი მიზანია შს სამინისტროს შესაძლებლობების განვითარება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ვერსიანიუსი



### საფრანგეთის ხელისუფლება მოქალაქეებს აფრთხილებს, აფხაზეთში რუსეთის ტერიტორიიდან არ შევიდნენ

როგორც საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის ოფიციალურ გვერდზე, რუბრიკაში — „რჩევები მოგზაურთათვის“, საფრანგეთის მოქალაქეების საყურადღებოდ, დამატებით გაფრთხილებას ავრცელებს: **„სოჭის ზამთრის ოლიმპიადის მოახლოებასთან დაკავშირებით, შეგახსენებთ, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონის, აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილება კატეგორიულად არარეკომენდებულია. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი პიროვნება, რომელიც ამ რეგიონის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან გადაკვეთს საზღვარს, არღვევს საქართველოს კანონმდებლობას და ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ დევნას“.**

*„ინტერპრესნიუსი“*

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | | 5 | | | | 2 |
| | | 6 | 3 | 9 | | | 5 | |
| | | | | | 2 | 9 | 6 | 8 |
| 7 | 8 | 5 | | | | | | |
| | | | | | | | | |
| | | | | | | 6 | 4 | 5 |
| 4 | 7 | 3 | 2 | | | | | |
| | 5 | | | 8 | 4 | 1 | | |
| 9 | | | | 3 | | 5 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 5 | | | | 3 | | |
| | 8 | | 2 | | | | | |
| 7 | 2 | | 8 | 5 | | | 9 | |
| 3 | | | | 6 | | | | |
| | 1 | 8 | 7 | | 5 | 9 | 3 | |
| | | | | 2 | | | | 5 |
| | 6 | | | 3 | 7 | | 8 | 9 |
| | | | | | 2 | | 7 | |
| | | 7 | | | | 1 | | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 3 | | | | | 7 | |
| | | | 6 | 4 | | 2 | | |
| | | | 7 | | | | 6 | |
| 4 | | | | | 1 | 7 | | |
| 7 | | | | | | | | 1 |
| | | 1 | 2 | | | | | 9 |
| | 3 | | | | 7 | | | |
| | | 4 | | 5 | 9 | | | |
| | 7 | | | | | 8 | | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 6 | | | 7 | 5 |
| | | 8 | | | 3 | | | 9 |
| | 7 | | | | 5 | | | |
| | 6 | | 5 | | | 1 | | |
| 5 | | | | 2 | | | | 6 |
| | | 4 | | | 6 | | 8 | |
| | | | 4 | | | | 1 | |
| 4 | | | 9 | | | 3 | | |
| 3 | 2 | | | 1 | | | | |

# საყვარელი საკვები ადამიანის დაავადებაზე მეტყველებს



მჟავე, მწარე თუ ტკბილი საკვების სიყვარული, თურმე, უმიზეზო არ ყოფილა — როგორ სწავლულებმა დაადგინეს, ამას თავის ახსნა აქვს და ამა თუ იმ გემოს მიმართ მიდრეკილება ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე მიგვანიშნებს:

ტკბილეულის მოყვარულები გლუკოზის დეფიციტს განიცდიან — ნერვული და გონებრივი დაძაბულობისას შაქარი სწრაფად იხარჯება და ორგანიზმი ახალ ულუფას საჭიროებს;

თუკი ადამიანს საკვები ნაკლებმარილიანი ეჩვენება, შესაძლოა, გადატანილ ანთებასთან გვქონდეს საქმე ან ორგანიზმში ინფექციის ახალი კერის გაჩენასთან. ეს პრობლემები, ყველაზე ხშირად, შარდსასქესო სისტემას უკავშირდება. მარილიან საკვებს ითხოვს ორგანიზმი იმუნიტეტის დაქვეითების დროსაც;

მჟავეულის სიყვარული კუჭის დაქვეითებულ მჟავიანობაზე მიუთითებს — გასტრიტისა და სეკრეტორული ფუნქციის უკმარისობისას, კუჭის ნაკლები წვენი გამომუშავდება;

მწარე, ცხარე საკვები ზარმაცი კუჭის სინდრომზე მიანიშნებს, რომელიც ნელა გადაამუშავებს საკვებს, სუნელებისადმი მიდრეკილება კი ლიპიდური ცვლის დარღვევასა და ქოლესტერინის რაოდენობის ზრდაზე მეტყველებს. მწვავე საკვები სისხლს ათხიერებს და წმენდს სისხლძარღვებს, ვისაც ხურმა უყვარს, ესე იგი, მისი სასიცოცხლო ენერგია დაბალია, ხოლო ხურმა და მისი მსგავსი გემოვნური თვისებების მქონე პროდუქტი ხელს უწყობს კანის უჯრედების დაყოფას, თუმცა სისხლს ასქელებს, რაც თრომბის საშიშროებას ქმნის... და კიდევ — თუ საჭმელი უგემური და უმარილო გეჩვენებათ, ამ დროს საქმე გვაქვს დეპრესიასთან, რომელსაც გემოს აღქმის დაქვეითება სდევს.



# მაისური არ სველდება

თუკი არ გაქვთ დრო ჭუჭყიანი ტანსაცმლის გასარეცხად ანდა ხშირად ისვრებით, მაშინ ეს სიახლე სწორედ თქვენთვის ყოფილა — ამერიკელმა სტუდენტმა მაისური შექმნა, რომელიც გარეცხვას არ საჭიროებს. თვითმწმენდი მაისურის შექმნის იდეა ამირ პატელს მაშინ დაებადა, როცა პირველად ნახა ზეჰიდროფობული საშუალებების რეკლამა — ის ტანსაცმელს დასვრისგან იცავს, მაგალითად სპრეი NeverWet. სტუდენტის ქმნილებას, რომელსაც Silic უწოდა, სპრეისგან, ძირითადად, ის განასხვავებს, რომ მაისურში გამოყენებული ნანოტექნოლოგია ქსოვილშია ინტეგრირებული. კვარცის მილიარდობით ნაწილაკი სითხის მოლეკულებს არ აძლევს საშუალებას, ქსოვილის ნაზ ბოჭკოებს შეეხონ — მათ ჰაერის თხელი ფენა უშლის ხელს. ქსოვილის ზედაპირზე სითხის წვეთები სფეროს ქმნის და ქვემოთ ცურდება. თანაც ქსოვილი ძალიან რბილია და კანს არ აღიზიანებს. პოლიესტერის მაისურს არ „ეშინია“ კოკა-კოლის, კეტჩუპის, მდოგვის, რძიანი კოქტეილების, ლუდის, მელნის, წითელი ღვინისა და სხვა სითხეებისა. წარმატებული ცდების შემდეგ, სტუდენტმა ვებ-გვერდი შექმნა და ფულს აგროვებს საკუთარი პროექტის რეალიზებისთვის.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 5 | 6 | 2 | 4 | 1 | 8 | 3 | 7 |
| 7 | 4 | 3 | 5 | 9 | 8 | 2 | 6 | 1 |
| 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 | 5 | 9 | 4 |
| 4 | 8 | 7 | 1 | 3 | 2 | 6 | 5 | 9 |
| 3 | 6 | 5 | 9 | 8 | 4 | 7 | 1 | 2 |
| 1 | 2 | 9 | 6 | 7 | 5 | 4 | 8 | 3 |
| 8 | 9 | 4 | 3 | 5 | 7 | 1 | 2 | 6 |
| 6 | 7 | 2 | 8 | 1 | 9 | 3 | 4 | 5 |
| 5 | 3 | 1 | 4 | 2 | 6 | 9 | 7 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 3 | 8 | 2 | 1 | 9 | 7 | 6 |
| 8 | 2 | 7 | 9 | 3 | 6 | 1 | 5 | 4 |
| 1 | 6 | 9 | 7 | 5 | 4 | 8 | 3 | 2 |
| 7 | 3 | 6 | 2 | 4 | 9 | 5 | 1 | 8 |
| 5 | 4 | 1 | 6 | 8 | 3 | 7 | 2 | 9 |
| 9 | 8 | 2 | 1 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 3 | 1 | 8 | 4 | 6 | 7 | 2 | 9 | 5 |
| 2 | 9 | 5 | 3 | 1 | 8 | 4 | 6 | 7 |
| 6 | 7 | 4 | 5 | 9 | 2 | 3 | 8 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 4 | 8 | 7 | 3 | 1 | 2 | 9 |
| 3 | 7 | 2 | 6 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 |
| 9 | 8 | 1 | 4 | 2 | 5 | 6 | 7 | 3 |
| 5 | 4 | 8 | 2 | 3 | 1 | 9 | 6 | 7 |
| 2 | 9 | 7 | 5 | 6 | 8 | 4 | 3 | 1 |
| 1 | 3 | 6 | 9 | 4 | 7 | 2 | 8 | 5 |
| 4 | 2 | 5 | 7 | 9 | 6 | 3 | 1 | 8 |
| 8 | 6 | 3 | 1 | 5 | 4 | 7 | 9 | 2 |
| 7 | 1 | 9 | 3 | 8 | 2 | 5 | 4 | 6 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 4 | 8 | 3 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 7 | 6 | 3 | 2 | 5 | 4 | 1 | 9 | 8 |
| 9 | 5 | 8 | 7 | 1 | 6 | 4 | 2 | 3 |
| 6 | 9 | 5 | 1 | 2 | 3 | 8 | 4 | 7 |
| 4 | 3 | 1 | 9 | 8 | 7 | 2 | 5 | 6 |
| 8 | 7 | 2 | 6 | 4 | 5 | 3 | 1 | 9 |
| 5 | 8 | 7 | 4 | 9 | 2 | 6 | 3 | 1 |
| 3 | 4 | 6 | 5 | 7 | 1 | 9 | 8 | 2 |
| 1 | 2 | 9 | 3 | 6 | 8 | 5 | 7 | 4 |

მე-16 გვერდი: 1. ქონდაქარი; 2. ფანჯარა; 3. ქოსატყუილა; 4. ნომინალი; 5. ალმასი; 6. არმანიაკი; 7. ჯაჭვლიანი; 8. რური; 9. ატონია; 10. ობელისკი; 11. აღაზა; 12. მაჭარი; 13. ილიონი; 14. ქარაფი; 15. ადლი; 16. ყბა; 17. ირისი; 18. არილი; 19. ნალი; 20. იავა; 21. დუელი; 22. ნონა; 23. სასა; 24. ემბაზი; 25. ნინია; 26. ელი; 27. კომა; 28. „მზესუმზირები“; 29. ბლეზ; 30. ნოღაიდელი; 31. ირავადი; 32. ასასი; 33. რიწა; 34. რეკეტი; 35. ლუი; 36. ილი; 37. რიფი; 38. ოსპი; 39. იტრიუმი; 40. აბა; 41. ზღვა; 42. იდო; 43. მუშტარი; 44. „ამსტელი“; 45. ოსი; 46. აია; 47. შპრეე; 48. რავალპინდი; 49. სოდა; 50. ხაო; 51. თორტიზა; 52. ბოუი; 53. მართლწერა; 54. ვესტა; 55. ბუა; 56. ნბა; 57. ოლდ; 58. ზაი; 59. ალიევი; 60. აბი; 61. კარამელი; 62. ლივ; 63. ხუანხე; 64. მიულერი; 65. ყია; 66. დილა; 67. ოხრა; 68. ბობი; 69. აბე; 70. ცია; 71. ოლივა; 72. ავი; 73. ოინი; 74. „რენო“; 75. ალიკანტე; 76. ნიცა; 77. სიო; 78. ტატამი; 79. კოლაუ; 80. ლეთე; 81. ლირა; 82. ანონა; 83. ოტო; 84. ნაბუკო; 85. ბედნიერი; 86. ნია; 87. კეა.

# ძმის გადასარჩენად თავი მოიკლა



ჩინელმა ახალგაზრდამ თავი მოიკლა და მშობლებს საშუალება მისცა, მისი უფროსი ძმის სიცოცხლე გადაერჩინათ — 20 წლის ჰონგუი და 18 წლის ჰონგტაო თირკმლის უკმარისობით იტანჯებოდნენ, მათ დიაგნოზი 2010 წელს დაუსვეს. ბიჭების მშობლებს საკუთარი შემოსავლით სამკურნალო ხარჯის სრულად დაფარვა გაუჭირდათ — თითქმის ყველაფერი გაყიდეს, შვილების სიცოცხლე რომ გადაერჩინათ, ბიჭების მეგობრებმა და პედაგოგებმა, შემოწირულობის სახით, 10 ათასი გირვანქა სტერლინგის შეგროვება შეძლეს, მაგრამ ეს თანხა ორივე ძმისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ექიმები იმედოვნებდნენ, რომ მშობლები შვილების დონორებად გამოდგებოდნენ, თუმცა, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელი იყო. ბიჭებისთვის ფული რომ მოეგროვებინათ, მშობლები რამდენიმე თვე მათხოვრობდნენ კიდეც... ამ მდგომარეობამ უმცროსმა ძმამ ველარ გაუძლო და საწამლავი დალია, ხოლო თვითმკვლელობამდე წერილი დატოვა, რომელშიც ძმას წერდა, „გამოჯანმრთელდები და ეს ჩემთვის საკმარისია“. ეს ამბავი ადგილობრივი ტელეარხის მეშვეობით, მთელ ქვეყანაში გახმაურდა. უფროსი ძმის გადასარჩენად შეგროვდა შემოწირულობა და თირკმლის გადანერგვის ოპერაცია წარმატებით ჩატარდა.

1. აცტეკთა იმპერატორი
2. შვეიცარიის ადმინისტრ. ტერიტორიული ერთეული
3. შხამიანი ბალახოვანი მცენარე
4. აშშ-ის ექსპრეზიდენტი
5. ტრიბუნის თანაშემწე ძვ. რომში
6. ოიდიპოსის და იოკასტეს ასული
7. სამიკიტნო, სასადილო იტალიაში
8. მუსიკ. ბგერის გრაფიკული ნიშანი
9. მინერალი, აქატის ნაირსახეობა
10. ყველაზე ცნობილი მედუზა ბერძნულ მითოლოგიაში
11. სახელმწიფო აფრიკაში
12. საპოხი ნივთიერება
13. პატარა მთა
14. პროვინციის სახელწოდება მონღოლეთში
15. ოთახის დეკორატიული მცენარე
16. მდინარე აფხაზეთში
17. ინერტული აირი
18. ინდონეზიური ჯუჯა კამეჩი
19. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
20. მუშკეტერ ათოსის მსახური
21. ინდოეთის საკურორტო შტატი
22. მომღერალი ... სოხაძე
23. ნიგერის დედაქალაქი
24. ტაჯიკი მწერალი
25. საფქვილე ყუთი წისქვილში
26. გეომეტრიული ფიგურა
27. სასიგნალო ტივტივა წყალზე
28. „წყალი“ - ლათინურად
29. არაბული ფლეიტა
30. გუნებაში მსჯელობა
31. ლეო ქიაჩელის „გვადი ...“
32. ნახევარკუნძული ადრიატიკის ზღვაში
33. რუსი მსახიობი ... სმოკტუნოვსკი
34. ხელის ნაწილი წინამხარსა და მტევანს შორის
35. ჰაერში ასაშვები სათამაშო მოწყობილობა
36. სატრფიალო პოეზიის მუზა
37. ბერძნული ანბანის ასო
38. ყველაზე სწრაფი ცურვის სტილი
39. იგივეა, რაც გირჩა
40. ჯუზეპე ვერდის ოპერა
41. ბრტყელი კუთხეების საზომი ერთეული
42. სწრაფმავალი მოტორიანი ნავი
43. ხურდა ფული ბრაზილიაში
44. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
45. (ძვ.) ბატონი, პატრონი ვაჭართა წრეში
46. საოპერო პარტია
47. მოლიერის ცნობილი კომედია
48. საპორტო ქალაქი ჩილეში
49. საჰაერო ბრძოლის ოსტატი
50. აზნაურის ტიტული ესპანეთში
51. ვეტერინარის მოძველებული სახელწოდება
52. პოეტ ნადირაძის სახელი
53. ბუსუსები ქსოვილის კარგ პირზე
54. ბუნება - ლათინურად
55. ისრაელის წარმოების ავტომატი
56. მსახიობი ... პიტი
57. მამალი დაუკოდავი თხა
58. ოფიციალური დოკუმენტი
59. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში
60. ეგვიპტის ერთ-ერთი ფარაონი
61. (ძვ.) აბრეშუმის ქსოვილის მანდილი
62. ვიეტნამის დედაქალაქი
63. პაკისტანის დედაქალაქი
64. მეტროპოლიტენის სახელწოდება აშშ-ში
65. სწორად აზრდილი, უტოტებო ხე
66. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი ჭაბუკი
67. ლექციების წასაკითხი დარბაზი
68. ისრის წვერი
69. მდინარე აზიაში
70. ფუტკრის ნობათი
71. უსიტყვო სიმღერის მანერა ევროპის ხალხებში
72. საგნის მონახაზი, კონტური
73. იესო ქრისტეს გამცემი
74. პრივილეგირებული სამხედრო იაპონიაში
75. ყელის ჩირქოვანი ანთება
76. მუსიკალური გამის IV ბგერა
77. ეთიოპიის დედაქალაქი ...-აბება
78. ოქროთი მდიდარი მითიური ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
79. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
80. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
81. ვიოლინოების იტალიელი ოსტატი
82. ციცინათელების მწყემსი სულაკ. ზღაპარში
83. ზრდილობიანი დასტური



# ჩინოვნიკებს უცხოური მანქანების ყოლა აუკრძალეს

ჩინეთის ხელისუფლება განაგრძობს ანტიკორუფციულ კამპანიას, რომლის განხორციელებაც ჯერ კიდევ 2012 წელს დაიწყო. თუ ადრე სახელმწიფო მოხელეებს ბანკეტების ჩასატარებელი ხარჯის შემცირება დაავალეს და ძვირფასი საჩუქრების მიღება აუკრძალეს, ახლა საქმე ავტომანქანებამდეც მივიდა: ხელისუფლებამ ადგილობრივ ჩინოვნიკებს აუკრძალა უცხოური მარკის მანქანებით სარგებლობა და, ამიერიდან, მხოლოდ სამამულო წარმოების ანუ ჩინურ ავტოებს გამოიყენებენ. ამ წესების დაცვას თვალყურს ადევნებს დისციპლინის კონტროლის ცენტრალური კომისია, რომელმაც პასუხისგებაში მისცა 182 ათასი სახელმწიფო მოხელე. სასჯელი კი სხვადასხვაგვარია: ქრთამის ჩამორთმევა, გასამართლება და პატიმრობაც კი.





# ჰოროსკოპი
## 31 იანვარი

**ვერძი** — შესაძლოა, უსამართლობის განცდამ წონასწორობა დაგაკარგვინოთ და უფროსობასთან კონფლიქტი გამოიწვიოს. ეცადეთ, ემოციები მოთოკოთ და ვითარება არ გაამწვავოთ — ამით ნამდვილად მოგებული დარჩებით.

**კურო** — კუროები დღეს მიზანდასახულები და გაბედულები არიან. საკუთარ თავში ძალების მოზღვავებას იგრძნობთ და ცხოვრების შეცვლის სურვილი გაგიჩნდებათ. მთავარია, არ დაწვრილმანდეთ და დასახული მიზნის მისაღწევად არაფრის წინაშე დაიხიოთ.

**ტყუპები** — დოკუმენტებთან დაძაბული მუშაობა გელით. მაგრამ ეს მხოლოდ რუტინული სამუშაო არ იქნება — ყოველი ნაბიჯი წინასწარ უნდა გათვალოთ, დაინახოთ მოვლენების შესაძლო განვითარება და ვითარებაზე კონტროლის სადავეები ხელიდან არ გაუშვათ.

**კირჩხიბი** — იმის გამო, რომ ბევრი მუშაობა და გადაუდებელი პრობლემების მოგვარება გიწევთ, პირადი ცხოვრება მეორე პლანზე გადავა. დღეს რომანტიკისთვის არ გეცლებათ. შეეცადეთ, მინიმუმამდე შეამციროთ ახლობლებსა და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა.

**ლომი** — თუ მიზანი დაისახეთ, ნუღარ დაიხევთ — ახლა ფორტუნა თქვენს მხარესაა და ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან. შეგიძლიათ, საკუთარი მომხიბვლელობის იმედიც გქონდეთ და ინტელექტისაც — საქმიან პარტნიორებთან საუბარი თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

**ქალწული** — საკმარისი დრო და ძალა გექნებათ, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ, ხოლო მუშაობისას რომ არ მოიწყინოთ, საქმეში კოლეგები ან მეგობრები ჩართეთ — ისინი სიხარულით დაგთანხმდებიან და მათი თანადგომის წყალობით, ყველა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ.

**სასწორი** — ფინანსურ საკითხებს მოაგვარებთ და მატერიალურ სარგებელსაც ნახავთ. კოლექტივში ატმოსფერო გაუმჯობესდება და მოგეცემათ საშუალება, მაღალანაზღაურებადი თანამდებობა დაიკავოთ.

**ღრიანკალი** — სამსახური თქვენგან თავდადებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ უფროსობა ამას სათანადოდ აფასებს, „მედალს“ მეორე მხარეც აქვს — ახლობელი ადამიანებისთვის აღარც დრო დაგრჩებათ და აღარც ენერგია, რის გამოც მათ გულისწყრომას დაიმსახურებთ.

**მშვილდოსანი** — მნიშვნელოვანი შეხვედრა გელით, რაც კარიერული წინსვლისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. შეგიძლიათ, თანამოსაუბრეს აგრძნობინოთ, რომ გაბედული ქმედებებისთვის მზად ხართ და მაქსიმუმის გაკეთებას შეეცდებით.

**თხის რქა** — მცირე დაუდევრობის გამო, შესაძლოა, ვითარება კონტროლს აღარ დაექვემდებაროს — დღეს ყველაფერი ხელიდან გეცლებათ. თქვენი დაძაბულობა გარშემომყოფებსაც გადაედება და ერთი ნაპერწკალი იქნება საჭირო ინტერესთა კონფლიქტის გასაღვივებლად.

**მერწყული** — კარგი პერიოდი დგება — ნელ-ნელა ვითარება უკეთესობისკენ იცვლება. არ ღირს, მოვლენების დაჩქარება, მიყევით ცხოვრების დინებას, ნელ-ნელა ყველაფერი მოგვარდება და წარუმატებლობას წარმატება შეცვლის.

**თევზები** — გამოჩნდება ადამიანი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში თავს არ გახსენებდათ და შესაძლოა, სიყვარულშიც გამოგიტყდეთ. ძველ მეგობრებს საკუთარ მიღწევებზე ესაუბრეთ და თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინეთ.

# სისხლის დონორები დიდხანს ცოცხლობენ



როგორც აღმოჩნდა, სისხლის ჩაბარება არა მხოლოდ საპატიო, არამედ სასარგებლოც ყოფილა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დონორები ხუთი წლით უფრო დიდხანს ცოცხლობენ, რადგან სისხლის ჩაბარების შემდეგ ინფარქტის, ინსულტისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი უმცირდებათ — მავნე ნივთიერებები, რამაც, შესაძლოა, ათეროსკლეროზი გამოიწვიოს, ვერ ასწრებს სისხლში დაგროვებას, თუკი ადამიანი რეგულარულად აბარებს სისხლს. გაირკვა ისიც, რომ დონორების ორგანიზმს რეგენერაციის გაცილებით სწრაფი უნარი აქვს და ადვილად ახალგაზრდავდება; დონორებს, სისხლის ჩაბარებამდე გამოკვლევებს უტარებენ, რაც საშუალებას იძლევა, ნებისმიერი დაავადება ადრეულ სტადიაზევე გამოავლინონ და უმკურნალონ.

# მდიდარი მარტოხელა „დაქირავებული“ მეგობრისთვის ფულს არ იშურებს



ჩინეთის პროვინცია გუანდუნში მცხოვრები მდიდარი ახალგაზრდა მამაკაცი პარტნიორს ეძებს და ნებისმიერ გოგონას, რომელიც მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მშობლების სახლში გაჰყვება და შვებულებას მასთან გაატარებს, საკმაოდ დიდ თანხას — 170 ათას დოლარს გადაუხდის. ახალგაზრდა ჩინელი მეგობარ ქალს ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულის — ჩინური ახალი წლისთვის ეძებს, რჩეული კი 25 წლამდე, 168 სანტიმეტრი სიმაღლის უნდა იყოს და 50 კილოგრამს იწონიდეს. თუ გოგონას დოქტორის ხარისხი ექნება და ქალწულიც აღმოჩნდება, შეთავაზებულ თანხას 10% დაემატება. ამ „ვაკანსიამ“ სუსტი სქესის საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი დააინტერესა და, როგორც ამბობენ, რიგში 10 ათასზე მეტი გოგონა დგას. აღსანიშნავია, რომ ჩინეთში მსგავსი რამ — მეგობარი გოგონას დაქირავება, განსაკუთრებით კი, დღესასწაულებზე, საკმაოდ პოპულარულია და აღარავის უკვირს.

# ქალიშვილი ჭინაში გაცვალეს



ზოგიერთ ქვეყნებში ასეთი ტრადიციაა — ვინც ბინის ქირას ნაღდი ფულით ვერ იხდის, შეუძლია, ნატურით გადაიხადოს. ასე, მაგალითად, ლიბანში სირიელი დევნილების ოჯახი იძულებული გახდა, 14 წლის ქალიშვილი ხანიფა 44 წლის სახლის პატრონისთვის მიეთხოვებინათ, რადგან ქირას ვერ იხდიდნენ. აღსანიშნავია, რომ მამაკაცი უკვე დაქორწინებულია, მაგრამ ჩანს, პირადი ცხოვრების გამრავალფეროვნების სურვილი გაუჩნდა და მდგმურებს გაურიგდა, გოგონასთვის კი ეს ტრაგედიაა, მაგრამ იძულებულია, ოჯახს დაემორჩილოს — წინააღმდეგ შემთხვევაში, ქუჩაში, ღია ცისქვეშ მოუწევთ ცხოვრება, რაც წარმოუდგენელია — მცირეწლოვან ძმას ასთმა აქვს, მამას კი გული აწუხებს.

# ბიუსტჰალტერი ლუკმას დაგითვლით



ქალებისთვის რთულია დიეტის დაცვა, სწორედ მათთვისაა შექმნილი ორიგინალური ბიუსტჰალტერი, რომელსაც ბრიტანელმა დიზაინერებმა „ჭკვიანი“ უწოდეს და საუთჰემპტონის უნივერსიტეტის სწავლულებთან ერთად შექმნეს. სპეციალური სენსორების წყალობით, „ლიფი“ მომხმარებლის წონას განსაზღვრავს და მშვენიერი სქესის წარმომადგენელს აცნობებს, როდის შეწყვიტოს ჭამა. ბიუსტჰალტერი სმარტფონის აპლიკაციას უკავშირდება. როგორც კი „ემოციური შიმშილი“ დაიწყება, სმარტფონის ეკრანი განათდება — ამ დროს ქალი ვალდებულია, სტრესის დასაძლევად სუნთქვითი ვარჯიში გააკეთოს.



# ჰოროსკოპი
## 1 თებერვალი

**ვერძი** — ყურადღებით უნდა იყოთ და საკუთარ საიდუმლოს უცხო ადამიანებს ნუ გაუმხელთ. არის რისკი, რომ მიღებული ინფორმაცია არაკეთილმოსურნეებმა თქვენს წინააღმდეგ გამოიყენონ და საზოგადოების თვალში ჩირქი მოგცხონ.

**კურო** — დღეს იუმორი ძალიან გამოგადგებათ. თუ კარგ განწყობაზე იქნებით, შესაძლოა, მოულოდნელი საჩუქარიც მიიღოთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ, რადგან არ არის გამორიცხული, შექმნილმა გარემოებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენოს.

**ტყუპები** — თქვენი სიზარმაცე და უპასუხისმგებლობა უსიამოვნო შედეგებამდე მიგიყვანთ — ადვილად დაკარგავთ კოლეგებისა და ხელმძღვანელობის ნდობას. ნუ მიიღებთ სარისკო.

**კირჩხიბი** — მოგწონთ თუ არა, დღეს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. ლოგიკა არ გიღალატებთ და მიუხედავად იმისა, რომ გარშემომყოფებს ნაკლებად ესიამოვნებათ თქვენი წარმატება, ვითარების გაკონტროლებას ადვილად შეძლებთ.

**ლომი** — ფინანსური საკითხების მოგვარებით დაკავდებით და სასურველ შედეგსაც მიაღწევთ, თუკი საქმე სოციალურ სფეროს, ქველმოქმედებას ან დაზღვევას ეხება. პროფესიონალებთან მუშაობა კი წარმატებასთან გაახლოებთ.

**ქალწული** — არ გირჩევთ ახლა ვალის აღებას, სჯობს, საკუთარი მოთხოვნები შეზღუდოთ და უფრო სასიკეთო პერიოდს დაელოდოთ, კარგი იქნება, თუ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე კომპეტენტურ ადამიანს გაესაუბრებით და მის რჩევებსაც გაითვალისწინებთ.

**სასწორი** — სჯობს, ზუსტად გაანაწილოთ დრო და მკაცრად დაიცვათ გრაფიკი, რადგან მცირე გაუგებრობის გამო, შესაძლოა, მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩაიშალოს. ეცადეთ, იმედი არ გაუცრუოთ მათ, ვისაც თქვენთან ურთიერთობა ძალიან სჭირდება.

**ღრიანკალი** — მნიშვნელოვანი დოკუმენტების გადამოწმება დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს, ამიტომ სიამაყე ცოტა ხნით დაივიწყეთ და კოლეგების დახმარებაზე უარს ნუ იტყვით — მხოლოდ ასე შეძლებთ დაწყებული საქმის სასურველი შედეგით დასრულებას.

**მშვილდოსანი** — ინტუიცია განსაკუთრებით გაგიმძაფრდებათ, ასე რომ, რაც უნდა უცნაურად განვითარდეს მოვლენები, ამისთვის ფსიქოლოგიურად აღმოჩნდებით მზად — ეცადეთ, ნაკლებად იმპულსური იყოთ და მიყევით ცხოვრების დინებას.

**თხის რქა** — არის რისკი, ისეთ საქმეს შეეჭიდოთ, რისი წარმატებით დასრულებაც ძალიან გაგიჭირდებათ. ადეკვატურად შეაფასეთ საკუთარი შესაძლებლობები და გაითვალისწინეთ, რომ ზედმეტი ამბიციურობა მხოლოდ პრობლემებს შეგიქმნით.

**მერწყული** — ვარსკვლავები გირჩევენ, მოინახულოთ უჩვეულო ადგილები, დისკუსიებში მიიღოთ მონაწილეობა და სასურველი ინფორმაციაც მოიპოვოთ — მსგავსი განტვირთვა მხოლოდ სასიკეთო იქნება თქვენთვის და წარმატებასაც ადვილად მიაღწევთ.

**თევზები** — თუკი ხელსაყრელი კავშირი გჭირდებათ, გაქვთ შანსი, ისეთი ადამიანი გაიცნოთ, რომელზეც თქვენი კარიერა იქნება დამოკიდებული. ნუ დაგენანებათ დრო საჭირო პარტნიორების მოძებნისთვის — თქვენი შრომა უკვალოდ არ ჩაივლის.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 2 | 1 | | | | 5 |
| | | 1 | 7 | | | 4 | | |
| | | 9 | | 4 | 3 | | | |
| | | 7 | 9 | | | | | |
| 4 | 5 | | | | | | 3 | 9 |
| | | | | | 4 | 8 | | |
| | | | 4 | 7 | | 3 | | |
| | | 4 | | | 8 | 1 | | |
| 3 | | | | 5 | 9 | | 2 | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 7 | 3 |
| | 5 | 8 | | | 2 | | | |
| | | 6 | | 8 | | | | 9 |
| 3 | | | | | 1 | | | |
| | 6 | 2 | | | | 4 | 1 | |
| | | | 4 | | | | | 8 |
| 6 | | | | 1 | | 2 | | |
| | | | 6 | | | 9 | 4 | |
| 5 | 7 | | | | | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 9 | 7 | | | 2 | |
| | | | | 5 | | | | |
| | 2 | | | | 1 | | 9 | 8 |
| 7 | | 9 | 8 | | | 3 | | 2 |
| 8 | | | | | | | | 9 |
| 2 | | 5 | | | 9 | 8 | | 4 |
| 4 | 8 | | 2 | | | | 1 | |
| | | | | 8 | | | | |
| | 5 | | | 9 | 3 | | | 6 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | 8 | | | | 2 |
| | | | | | | 5 | | |
| | 1 | | | 3 | 9 | 8 | | 6 |
| | 5 | | 1 | | | 7 | | |
| | | 3 | | 7 | | 4 | | |
| | | 9 | | | 3 | | 8 | |
| 5 | | 2 | 3 | 1 | | | 4 | |
| | | 1 | | | | | | |
| 8 | | | | 4 | | 6 | | |



# ჰოროსკოპი
## 2 თებერვალი

***ვერძი*** — ვერძებისთვის არც ისე სასიკეთო დღეა, ამიტომ სჯობს, კონტრაქტების გაფორმებასა და გარიგებებზე უარი თქვათ და რუტინული სამუშაოთი დაკავდეთ. მშვიდად დააკვირდით მოვლენებს, რაც თქვენს ირგვლივ ხდება.

***კურო*** — შესაძლოა, ფსიქოლოგიური დაღლილობა იგრძნოთ. განსაკუთრებით ყურადღებიანი იყავით, გარშემომყოფებისგან ეჭვიანობა ან წყენა რომ არ დაიმსახუროთ. მეტი იმოძრავეთ და ფიზიკურ დატვირთვას თავს ნუ აარიდებთ.

***ტყუპები*** — აუჩქარებელი ნაბიჯით მოასწრებთ იქ მისვლას, სადაც სხვები მიიჩქაროდნენ და ხშირად აგვიანდებოდათ. იოცნებეთ, იმოქმედეთ, შექმენით! შესაძლებლობა გეძლევათ, ხელსაყრელი ფინანსური ოპერაციით მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესოთ.

***კირჩხიბი*** — ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა თქვენი ემოციური ფონი გადატვირთა. დროა საჭირო, რომ ჩვეულ სამუშაო რიტმს დაუბრუნდეთ. ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილებების მიღებას და ახლობლების რჩევაც აუცილებლად გაითვალისწინეთ.

***ლომი*** — დღეს მომხდარი მოვლენები დიდად არ გახარებთ, მაგრამ არც ხელს გიშლით იმ საქმის კეთებაში, რაც ძალიან მოგწონთ. უარს ნუ ეტყვით საკუთარ თავს, ცოტა წაიზარმაცოთ. დღე სასარგებლო კონტაქტების დამყარებას დაუთმეთ. შესაძლოა, უცხოელი სტუმარიც მიიღოთ.

***ქალწული*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის ილუზიების დღეა. გეგმები და დაპირებები, შესაძლოა, სიმართლე არ აღმოჩნდეს. მაგრამ ხელს ნუ ჩაიქნევთ, უკეთეს დროს დაელოდეთ.

***სასწორი*** — შექმნილი ვითარება იმ საქმეში წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ, რაზეც დიდხანს ოცნებობდით. უფრო კონკრეტული გახადეთ ეს ოცნება და მისი განხორციელება დაიწყეთ.

***ღრიანკალი*** — იმოქმედეთ სწორად შემუშავებული გეგმის მიხედვით და არა მხოლოდ ყველა დაწყებულ საქმეს დაასრულებთ, მომავლისთვის ახალი შესაძლებლობებიც მოგეცემათ. პირად ურთიერთობებში ცოტა არეული დღეა. გეჩვენებათ, რომ არავის უყვარხართ, მაგრამ ასე არ არის.

***მშვილდოსანი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები მშვიდ დღეს ჰპირდებიან. შესაძლოა, ცოტა საქმე გადაგღალოთ. მაგრამ ამის გამო წარმატებას ხელს ნუ ჰკრავთ. დრო ოჯახის წევრებსაც დაუთმეთ, განსაკუთრებით პატარებს, მათ თქვენი ყურადღება ძალიან სჭირდებათ.

***თხის რქა*** — ენერგეტიკული პალიტრა საკმაოდ ჭრელია. თავი შეიკავეთ მკვეთრი შეფასებებისგან, განსაკუთრებულ პრეტენზიებს ნუ გამოავლენთ გარშემომყოფებისადმი. კარგი დღეა მნიშვნელოვანი შეხვედრებისა და ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმებისთვის.

***მერწყული*** — თუ გინდათ, ხვალინდელ დღეს ღიმილით შეხვდეთ, დღევანდელის მადლიერი იყავით. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — ხელსაყრელი წინადადება თავად გიპოვით, მხოლოდ ამისთვის ცოტა მოთმინებაა საჭირო.

***თევზები*** — თქვენი ნიშნის სტიქია — წყალი საქმეში აუჩქარებლობისკენ მოგიწოდებთ, ამიტომ ნაკლებად გამოამჟღავნეთ გრძნობები და ემოციები, მეტად — გონიერი პრაგმატიზმი. საქმე საქმედ, მაგრამ ნურც პირად ცხოვრებას დაივიწყებთ.

# დაცემისგან წინდა დაგიცავთ



გამომგონებლებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან ახალი წინდა შექმნეს, რომელიც პატრონს დაცემისგან ან წაბორძიკებისგან დაიცავს. გარეგნულად წინდები არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივისგან, თუმცა სიარულისას მასში არსებული სპეციალური მასალა ფეხის თითებს ზემოთ სწევს ან წონასწორობისთვის სიმძიმის ცენტრის ქუსლისკენ გადანაცვლების ეფექტსაც ქმნის. ჯერჯერობით, სიახლე მხოლოდ პროტოტიპის სახითაა შექმნილი. თუკი ცდები წარმატებით ჩაივლის, ხუთ წელიწადში ასეთი წინდა დახლებზეც გამოჩნდება. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ასაკთან ერთად, ფეხის თითებიც სუსტდება, შედეგად, დაცემის რისკი არასწორ ზედაპირზე იზრდება. ადგილობრივი ჯანდაცვის სამსახურის მონაცემებით, 65 წელს გადაცილებული ყოველი მესამე იაპონელი უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდება.

# ახალდაქორწინებულებს ფსიქოლოგთან ვიზიტით ასაჩუქრებენ



ავსტრალიის ხელისუფლება აპირებს, ადგილობრივებს, რომლებიც ოჯახს შექმნიან, 180-დოლარიანი ვაუჩერი გადასცეს ოჯახის ფსიქოლოგთან ვიზიტებისთვის. როგორც ქვეყნის სოციალური სამსახურის მინისტრი კევინ ენდრიუსი აცხადებს, ეს პროგრამა ითვალისწინებს წყვილისთვის კონსულტაციებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, ოჯახური კონფლიქტის თავიდან აცილება და მათი გადაწყვეტა, ოჯახური ბიუჯეტის მართვა, ბავშვის მოვლა და აღზრდა და სხვ. ექსპერტთა მონაცემები ადასტურებს, რომ „მწვანე კონტინენტზე“ ადამიანების ამ საკითხებში განათლება მეუღლეებს შორის ურთიერთობას უფრო გაამყარებს.



# ამერიკელები ჯასტინ ბიბერის გადასახლებას ითხოვენ




აშშ-ს მაცხოვრებლებმა ქვეყნიდან სკანდალური მომღერლის, თინეიჯერთა კერპის, ჯასტინ ბიბერის გადასახლება მოითხოვეს. შესაბამისი პეტიცია უკვე გამოჩნდა თეთრი სახლის საიტზე, რომლის ავტორები ამბობენ, რომ ბიბერს უნდა ჩამოერთვას აშშ-ში ცხოვრების უფლება (გრინ-ქარდი) და შტატებიდან გააძევონ, რადგან, მათი აზრით, იგი თანამედროვე მოზარდებზე ძალიან ცუდ გავლენას ახდენს. საიტზე განთავსების დღეს პეტიციას 12 ათასი ადამიანი აწერდა ხელს და როგორც კი ხელმომწერთა რაოდენობა 100 ათასს გადააჭარბებს, ქვეყნის ხელისუფლება ვალდებულია, საკითხზე რეაგირება მოახდინოს. თუმცა, თეთრი სახლი ამგვარ მოთხოვნებს უპასუხოდ ტოვებს მიზეზით, რომ ეს მათ კომპეტენციაში არ შედის. ბოლო დროს პოპულარული მომღერალი რამდენიმე სკანდალში გაეხვია — მაიამიში პოლიციამ ავტომობილის ნასვამ მდგომარეობაში მართვის გამო გააჩერა და გაირკვა, რომ ბიბერი ნარკოტიკებითაც იყო გაბრუებული. გარდა ამისა, წესრიგის დამცველებმა აღმოაჩინეს, რომ მომღერალი ვადაგასული მართვის მოწმობით მოძრაობდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი, სამართალდამცავებმა ჯასტინის სახლში საკმაო რაოდენობის ნარკოტიკი აღმოაჩინეს.



# მე ორგანიზმი გავიწმინდე და წონაში კლება საოცარი ტემპით დავიწყე!

## ლიზა მარი საავტომობილო სერვისის ოფისში მუშაობს. როდესაც მისმა წონამ 94 კილოგრამს მიაღწია, მიხვდა, რომ ცხოვრების წესი უნდა შეეცვალა.

„მე ყოველთვის მიყვარდა გამაგრილებელი სასმელები და ტკბილეული, რომლებიც, თითქოს ენერგიას უნდა მატებდნენ,მაგრამ მე მუდამ დაღლილი და ძალაგამოცლილი ვიყავი. ჩემმა წონამ კი 94 კილოგრამს მიაღწია. გაზეთში წავიკითხე სტატია ორგანიზმის გაწმენდის და დეტოქსიკაციის ეფექტის შესახებ, და რომ მას შეუძლია დაკარგული ენერგიის აღდგენა და წონის დაკლებაში დახმარება. მე ეს სავსებით ლოგიკურ გზად მეჩვენა. ადრე გახდომის უამრავი საშუალება მქონდა ნაცადი,მაგრამ უშედეგოდ“.

### შევიძინე ბიოდრაინის ტაბლეტები

„აფთიაქში,ბიოდრაინის შეძენისას,რამდენიმე კარგი რჩევაც მომცეს: მივიღო დიდი რაოდენობით წყალი და რაც შეიძლება ცოტა ტკბილეული. მალე ენერგიის ისეთი მოზღვავება ვიგრძენი,თითქოს სპორტული დარბაზში დავდიოდი. საღამოობით კი,ვცდილობდი ფეხით მესეირნა. თუკი ადრე ამის გაკეთება ყოველთვის მეზარებოდა,ახლა ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. სასწორზე ყოველი დადგომა კიდევ უფრო მიმყარებდა აზრს,რომ ბიოდრაინის მიღება უნდა გამეგრძელებინა.“

### შევიცვალე ცხოვრების წესი

10 კვირაში ლიზა მარიმ 25 კილოგრამი დაიკლო! ის, რომ წონის ასეთი შემცირება ორგანიზმის გაწმენდის პროგრამის - „დეტოქს-გეგმის“ /ბიოდრაინის დამსახურებაა, ლიზა მარის ეჭვიც არ ეპარება: „თითქმის მაშინვე ვიგრძენი ჩემს ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები. თავიდანვე შევამჩნიე ენერგიის მოზღვავება. ორი კვირის შემდეგ კი წონამ თითქოს დნობა დაიწყო. რაღაც პერიოდში დღეში თითქმის ერთ კილოს ვიკლებდი! სრულიად გაქრა ტკბილეულისადმი მისწრაფება.



ოჯახის წევრები, განსაკუთრებით დედა შეშფოთდა და კუჭ-ნაწლავის შესაძლო პრობლემებზე ალაპარაკდა. მაგრამ მე ის დავამშვიდე და ავუხსენი, რომ უბრალოდ, ცხოვრების წესი შევცვალე – ვიცავ დიეტას და ორგანიზმის გაწმენდის რეჟიმს, რომელიც ხელს უწყობს გახდომის პროცესს“.

### ახლა ჩემი წონის კონტროლი შემიძლია

„ახლა თავს გაცილებით მსუბუქად და მოხდენილად ვგრძნობ და ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ 38/40 ზომის ტანსაცმელს ვყიდულობ. იმ დროის გახსენებაც კი არ მინდა, როდესაც 46/48 ზომის ტანსაცმელს ვატარებდი. ისეთი სასიამოვნო განცდაა ძველი ტანსაცმლის და ზედმეტი კილოგრამების ერთდროულად მოშორება! ახლა, წელიწადში ორჯერ ბიოდრაინის დეტოქს-გეგმის დახმარებით, ვაკონტროლებ საკუთარ წონას.“

### რატომ არის ბიოდრაინის ტაბლეტები ასეთი განსაკუთრებული?

ბიოდრაინის ტაბლეტები მზადდება სამკურნალო მცენარეეებისაგან, სკანდინავიელი ფიტოთერაპევტების უნიკალური რეცეპტით.

შვედეთსა და დანიაში კვებითი დანამატი ბიოდრაინი გამოიყენება ორგანიზმის გაწმენდის, დეტოქსიკაციისა ან ჭარბი კილოგრამების მოშორებისთვის.

ბიოდრაინის ტაბლეტების შემადგენლობაში შედის მხოლოდ კარგად ცნობილი და გამოკვლეული სამკურნალო მცენარეების ექსტრაქტები. კომპლექსურად მოქმედებისას ისინი ეფექტურად გვეხმარება შლაკების გამოდევნაში, ორგანიზმის გაწმენდაში, ჭარბი წონის მოცილებასა და კანის მდგომარეობის გაუმჯობესებაში.





### სად შეიძლება შევიძინო ბიოდრაინი?

ბიოდრაინის შეძენა შესაძლებელია აფთიაქებში.

### კითხვები გაქვთ?

იხილეთ ინტერნეტ-საიტი: www.newnordic.lv
ან დარეკეთ ტელეფონზე: ☎ 570 102 392
ქალაქის ნომრიდან ზარი უფასოა

NEW NORDIC

შეფუთვაზე მოძებნეთ ვერცხლისფერი საფირმო ნიშანი.
ეს იმის გარანტიაა, რომ პრეპარატი შეესაბამება ხარისხისა და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, რომელსაც კომპანია „ნიუ ნორდიკი“ გთავაზობთ.
„ნიუ ნორდიკი“ ზრუნავს ადამიანებსა და ბუნებაზე.




1. კოლუმბიელი ნობელიანტი მწერალი
2. თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფ. ადგ.
3. არაკეთილხმოვანება
4. კანადელი მომღერალი ... დიონი
5. ჭუჭრუტანიდან შემოსული სინათ. სხივი
6. ბაყაყის ნაშიერი
7. ჩრდილოეთის ქარი
8. მიწის დასამუშავებელი იარაღი
9. ლეგენდარული რუმინელი ვამპირი
10. ფრანგული ოპერეტის „მამა“
11. ხიზილალა - რუსულად
12. ახლო მონათესავე ცხოველების შეჯვარება
13. დედალი ქათმის „ნობათი“
14. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილ.
15. „ყველაფრის მკურნალი“
16. წილი საერთო საქმეში
17. ტახტის მემკვიდრის ტიტული საფრანგ.
18. პოეტური გამოცანა
19. იტალ. მეკარე ... ძოფი
20. რამდენიმე განყოფილებიანი სკივრი
21. მწყემსის მოსასხამი
22. „ბულგარის“ ფირმის სუნამო
23. კუნძ. კალიმანტანის მეო-რე სახ.
24. ქალაქი ჩეხეთში
25. მდინ. რუსეთში
26. ზევსის დედა
27. შვიდის მომდევნო რიცხვი
28. სპილოს წინაპარი
29. გერმან. ძვირადღირებული ავტომობ.
30. გიორგობისთვე
31. შხამიანი გომბეშო
32. თვის შუა რიცხვები ძვ.რომში
33. ევას მეუღლე
34. პიპინას უმცროსი შვილიშვილი
35. წამლის ბურთულა
36. ღმერთების ხელმწიფე ვედიზმში
37. დიაოხის მეორე სახელწოდება
38. სქესობრივი ლტოლვა (ფროიდი)
39. მსუბუქი ყოფაქცევის ქალი
40. ჯუჯა ცხენი
41. ტროეპოლსკის „შავყურა“ ძაღლი
42. მოსევადების ტექნიკის სახეობა
43. ესკიმოსთა ყინულის ქოხი
44. მ. მაჭავარიანის ლექსი
45. საინფორმაციო გადაცემა I არხზე
46. გზა - ლათინურად
47. ზღაპრული შინაარსის ლექსი
48. სამოთხის ბაღი
49. მიმართვა ფრანგი ქალისადმი
50. მსახიობი ... ფეროუ
51. ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული
52. ხმლის ტარი
53. მსახიობი აიშვარია ...
54. ადამიანის მსგავსი რობოტი
55. მაგარმერქნიანი მცენარე
56. ზღვის ვიწრო ყურე
57. ინგ. მწერალი ივლინ ...
58. ჯგუფ „ბი ჯიზის“ წევრი ძმების გვარი
59. აშშ-ის შტატი
60. მუს. გამის I ნოტი
61. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
62. ბინძური თავლების პატრონი


ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.